www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 10 დეკემბერი, 2013 წელი. | №3425 (232) | ფასი 50 თეთრი

უამინდობას მსხვერპლი მოჰყვა

დიდთოვლობას ხელვაჩაურის რაიონში მსხვერპლი მოჰყვა. უამინდობის შედეგად სოფელ სალიბაურში სასათბურე მეურნეობის კონსტრუქცია ჩამოიშალა და სათბურის თანამშრომლები მოიყოლა. შემთხვევის შედეგად ორი ქალბატონი გარდაიცვალა, სათბურის ათი თანამშრომელი კი დაშავდა.

დაშავებულები ბათუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მომხდარის გამოძიება აჭარის შს მთავარმა სამმართველომ დაიწყო.

გარდა ამისა, დიდთოვლობის გამო ჩაქვში საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ვილნიუსის სამიტის გამოწვევები

ზურაბ ჟვანის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია

საქართველოს პარლამენტისა და კონრად ადენაუერის ფონდის ორგანიზებით, გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია „აღმოსავლეთ პარტნიორობა - გზა ვილნიუსის სამიტის შემდეგ“. ღონისძიება საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაბადების 50 წლისთავს ეძღვნებოდა.

კონფერენციაში სამივე უმაღლესი თანამდებობის პირი მონაწილეობდა - პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. გამომსვლელები ყველაზე ხშირად ზურაბ ჟვანიას მიერ 1999 წელს წარმოთქმულ ფრაზას იხსენებდნენ - „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“.

„ისტორიული უსამართლობაა, რომ ზურაბ ჟვანია ევროპისკენ მიმავალ ამ ისტორიულ გზაზე ჩვენთან ერთად არ არის,“ - თქვა გიორგი მარგველაშვილმა. როგორც პრეზიდენტი აღნიშნავს, ზურაბ ჟვანიას ცნობილ ფრაზაში ის იგულისხმება, რომ ქართველი, როგორც კულტურის შემქმნელი ელემენტი, იდენტურია იმისა, რაც დღეს ევროპაშია. მარგველაშვილის თქმით, ზურაბ ჟვანია ამბობდა, რომ ნებისმიერი მმართველი იმ წარმატებებისკენ უნდა იყურებოდეს, რაც საქართველოს ჰქონია.

„ქვეყნის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ გაიაზრო მრავალფეროვნება და შეძლო მთლიანობის შექმნა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი პარლამენტში

თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა მცირდება. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტის ახალი ვარიანტის მიხედვით, თვითმმართველი ქალაქი იქნება არა 18, არამედ - 12.

კანონპროექტის ავტორთა განცხადებით, ახალი მუნიციპალიტეტების ფორმირება არჩევნებამდე მოხდება. რეალურად რა ცვლილებები შევა კანონში, ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტის განხილვა დაიწყება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტს საპარლამენტო კომიტეტები დღევანდელ სხდომებზე განიხილავენ.

თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტის გარდა, განხილვის საგანი იქნება 23 კანონში შესატანი ცვლილებების პროექტები, რომლებიც, თავის მხრივ, მთავარ საკანონმდებლო ინიციატივას ეხება.

საკანონმდებლო პაკეტს დღეს პირველი მოსმენით იურიდიულ საკითხთა, ჯანდაცვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების გაერთიანებული სხდომაზე განიხილავენ. ამასთან, პროექტზე იმსჯელებენ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ასევე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების სხდომაზეც. საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი წარუდგენს. განხილვებში არასაპარლამენტო ოპოზიცია და ექსპერტებიც ჩაერთვებიან.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„ევრომაიდანი„ სპეცრაზმების შტურმის მოლოდინში

ლენინის ძეგლის დამტვრევა კიევში

ივა შილაკაძე

უკრაინაში გუშინ სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა. აქციებზე ხალხის რაოდენობამ შესამჩნევად მოიმატა, თუმცა ხელისუფლებამაც ძალის დემონსტრირება დაიწყო. სამართალდამცავებს გასულ შაბათ-კვირას ევროინტეგრაციის მომხრეებისთვის, ფაქტობრივად, არაფერში შეუშლიათ ხელი, მაგრამ ორშაბათს, დღის მეორე ნახევარში, უკვე დაიწყეს სასამართლოს მიერ წინა კვირაში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება - სამთავრობო შენობების პიკეტების მოხსნა და დაკავებული სახელმწიფო შენობების გათავისუფლება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	7°C --3°C
ქუთაისი	8°C - -1°C
ზუგდიდი	8°C - 1°C
ბათუმი	8°C - -2°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

„ოქროს ბურთს„ რონალდუ, რიბერი და მესი გაითამაშებენ

გიგა გურასაშვილი

მოლოდინი გამართლდა. „ოქროს ბურთისა“ (Ballon d'Or) და 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის კრიშტიანუ რონალდუ, ფრანკ რიბერი და ლიონელ მესი გააგრძელებენ ბრძოლას. გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ კრიშტიანუ რონალდუს, რომელიც ზედიზედ მესამედ, მთლიანობაში კი მეხუთედ მოხვდა საუკეთესო სამეულში.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

დიდებული სილამაზის კვირა

თბილისის კინოფესტივალის „ოქროს პრომეთე“ ქართულ „კომას“ გადასცეს

ია ვეკუა

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი დასრულდა, გამარჯვებულებმა შინ ჟიურის მიერ მიკუთვნებული პრიზები წაიღეს, თუმცა მთავარი პრიზი შორს არ წასულა, რადგან წლევანდელი ფესტივალის ჟიურის აზრით, წლის საუკეთესო ევროპული სადებიუტო ან მეორე ფილმი არჩილ ქავთარაძის „კომა“ ყოფილა. სწორედ ეს გადაწყვეტილება აღმოჩნდა ბევრისთვის გაორებული გრძნობის წყარო: ერთი მხრივ, გიხარია, რომ მთავარ ჯილდოს ქართულ პროდუქტს ანიჭებენ, მეორე მხრივ კი არ გასვენებს ეჭვი, რომ ფილმმა „სულ სხვა“ მიზეზების გამო გაიმარჯვა, მით უფრო, როდესაც მისი დანარჩენ საკონკურსო ფილმებთან შედარების საშუალება გაქვს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ბანერები და მავთულხლართები ფლავისა და ფლავისმანის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე დაამონტაჟეს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის ინსტალაცია რუსმა სამხედროებმა გორის რაიონის სოფლების ფლავისა და ფლავისმანის მიმდებარე ტერიტორიაზე განაგრძეს.

ამ დროისთვის უკვე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები და მავთულხლართებია დამონტაჟებული. შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის განაპირა არსებული მიწების დამუშავებას ვერ ახერხებს. ფლავის მცხოვრებლებს სოფლის ჩრდილოეთით მდებარე სასაფლაოზე გადაადგილება შეეზღუდათ.

რუსული მედიის ცნობით კი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარი თითქმის სოფლის შუაში გადის. ბანერებისა და მავთულხლართების ინსტალაციის გამო ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია. სოფელ ფლავის მკვიდრი გიორგი კაპანაძე აცხადებს, რომ ეს ტერიტორიები არც სამხრეთ ოსეთის ოლქის არსებობისას შედიოდა ოლქის შემადგენლობაში და ყოველთვის ფლავის კოლმეურნეობას ეკუთვნოდა.

კაპანაძისვე განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ რუსი სამხედროები ამ მიმართულებით ხელოვნური ბარიერების მონტაჟს გააგრძელებენ, სოფლის ამ ნაწილში მცხოვრებნი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.

ფლავის და ფლავისმანის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. სასაზღვრო ბანერებისა და მავთულხლართების ინსტალაციის ფაქტი შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს.

«ფეისბუქზე» მშვიდობის ხიდის უკრაინის დროშის ფერებში განათებას ითხოვენ

«ფეისბუქის» ქართველი მომხმარებლები თბილისში მდებარე მშვიდობის ხიდის უკრაინის დროშის ფერებში განათებას მოითხოვენ.

უკრაინელებისადმი სოლიდარობის ამ გზით გამოცხადების მოთხოვნით სოციალური ქსელის მომხმარებლების ნაწილი - მთავრობას, ნაწილი კი თბილისის მერიას მიმართავს.

კიევის ევრომეიდანზე აქციის მონაწილეებს მხარდაჭერა უკვე გამოუცხადეს აშშ-სა და ბრაზილიაში.

კერძოდ, ნიუ იორკში - თავისუფლების ქანდაკება, ხოლო რიო-დე-ჟანეიროში ქრისტეს ქანდაკება უკრაინის დროშის ფერებში იყო განათებული - ზედა ნაწილი ცისფერ, ქვედა კი ყვითელ ფერში.

დეპუტატების ხარჯები

მიმდინარე წლის განმავლობაში ქუთაისში დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომლების ბინებით უზრუნველყოფისთვის, დაახლოებით, 5 მილიონამდე ლარი დაიხარჯა, -

ამ ინფორმაციას პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელის სამდივნო ავრცელებს.

პარლამენტის აპარატის ინფორმაციით, ქუთაისში დეპუტატების ბინებით უზრუნველყოფისთვის ყოველთვიურად ზუსტად 125 062 ლარი იხარჯება.

დაახლოებით, ორჯერ მეტი თანხაა გამოყოფილი საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომლების ბინით უზრუნველყოფისთვის - მათთვის პარლამენტის ბიუჯეტიდან თვეში 256 080 ლარი იხარჯება.

გარდა ამისა, დეპუტატებმა მხოლოდ ერთ თვეში, ოქტომბერში, პარლამენტის ბიუჯეტიდან 66 618 ათასი ლარის საწვავი მოიხმარეს. ამჟამად პარლამენტის პოლიტიკური თანამდებობის პირებს, დაახლოებით, 80 ავტომობილი ემსახურება.

როგორც პარლამენტის აპარატში აცხადებენ, პარლამენტის თანამდებობის პირთა მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადასვლის შემდეგ გაორმაგდა და ამჟამად თითოეულ ავტომობილზე ყოველთვიურად, დაახლოებით, 300-600 ლიტრი საწვავი გაიცემა.

ირაკლი ალასანიასა და ჯონ მაკკეინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები განიხილეს. საუბარი შეეხო ქვეყნისა და რეგიონის უსაფრთხოების, ასევე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხებს.

საუბრისას ირაკლი ალასანიამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების მიმართ ურყევი მხარდაჭერისთვის ამერიკელ სენატორს მადლობა გადაუხადა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი პარლამენტში

პირველი გვერდიდან

მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი პაკეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ იზრდება თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში სულ 69 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულია, ხოლო რეფორმის შემდგომ მათი რაოდენობა, დაახლოებით, 120 იქნება. თვითმმართველი ქალაქის სტატუსი 13 ქალაქს მიენიჭება, ხოლო მათი მიმდებარე სოფლებისგან მუნიციპალიტეტები შეიქმნება. თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მხოლოდ იმ ქალაქებს ენიჭება, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია.

მერს და გამგებელს მოსახლეობა პირდაპირი წესით სამი წლის ვადით აირჩევს. აღნიშნული ვადა 2017 წლიდან შეიცვლება და ოთხი წელი იქნება.

მთავრობის მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, არსებითად იცვლება გუბერნატორის ფუნქციები. თუკი დღევანდელი მდგომარეობით გუბერნატორის ინსტიტუტის ძირითადი უფლებამოსილება თვითმმართველობის ორგანოებზე სამართლებრივი ზედამხედველობაა, რეფორმის შემდეგ ეს ფუნქცია რეგიონული განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში გადადის. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ინსტიტუტი სახელწოდებას შეიცვლის და „მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანება“ დაერქმევა.

გარდა ამისა, სოფლებში შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც მოქალაქეობრივ საწყისებზე იმუშავებს და მისი ძირითადი მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა აქტიური თანამონაწილეობა იქნება.

საზოგადოებრივი საბჭოს დაფუძნების ინიციატივის უფლება დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლების არანაკლებ 10-კაციან საინიციატივო ჯგუფს ექნება, რომელიც დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 10 პროცენტის ხელმოწერით უნდა იყოს მხარდაჭერილი. ამასთანავე, დასახლებაში მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა შეიძლება. საზოგადოებრივი საბჭო უფლებამოსილი იქნება, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენაში, მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამებით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევაში, დაგეგმვასა და განხორციელების მონიტორინგში. შესაძლოა, საზოგადოებრივ საბჭოს საკუთრებაში ან სარგებლობაში გარკვეული ქონება ჰქონდეს.

ცნობისათვის: ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში მთავრობის გეგმები და შეთავაზებული საკანონმდებლო წინადადებები, როგორც პოლიტიკური წრეების, ასევე სამოქალაქო სექტორის ერთი ნაწილის კრიტიკის მიზეზი გახდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ მეორემ პარლამენტს განხილვის შეჩერების თხოვნით მიმართა.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ პროექტში შესული ცალკეული საკითხები გადაიხედება და შეიცვლება.

მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს ირაკლი მელაშვილის განცხადებით, თვითმმართველობის რეფორმა აუცილებელია, რადგან სისტემა სუპერცენტრალიზებულია.

მელაშვილის ინფორმაციით, არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქს კიდევ შვიდი თვითმმართველი ქალაქი დაემატება: თელავი, გორი, მცხეთა, ახალციხე, ამბროლაური, ოზურგეთი და ზუგდიდი. ასევე, მელაშვილის თქმით, ამ დროისთვის კოდექსის შესახებ მიღწეული შეთანხმების თანახმად, თვითმმართველობა გრანტის აღებას მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს თანხმობით შეძლებს. ამასთან, ამ ეტაპზე სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოები არ შეიქმნება და მათ იურიდიული სტატუსი არ მიენიჭებათ.

ამასთან, როგორც მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, ზოგადად, თვითმმართველობის განვითარება ბევრ ქვეყანაში სეპარატისტული ტენდენციების შესაჩერებლად გამოიყენეს.

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი სეპარატიზმის საფრთხის გამო თვითმმართველობის კოდექსის მოწინააღმდეგეთა განცხადებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

მინისტრის მოადგილის თქმით, ოპონენტებს წაკითხულიც კი არ აქვთ კოდექსის პროექტის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც სეპარატიზმის საფრთხეებზე საუბრობენ.

„სეპარატიზმის საფრთხე თითიდან გამოწოვილი თემაა. კანონპროექტის ვერსიებში არც ერთ ეტაპზე არაფერი იდო ისეთი, რომელიც სეპარატიზმის საფრთხეს გამოიწვევდა. უფრო მეტიც, ის მოთხოვნები, რომლებიც არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებმა დააყენეს, თვალნათლივ აჩვენებს, რომ წაკითხულიც კი არ არის ის ნაწილი, რომლის გამოც საუბრობენ სეპარატიზმის საფრთხეებზე. ისეთი ტერმინებია გამოყენებული, რომლებზეც ამ პროექტში საუბარი საერთოდ არასდროს ყოფილა,“ - განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის აზრით, თვითმმართველობის კოდექსის გამო შეშფოთება გადაჭარბებულია, რადგან აღნიშნულმა კოდექსმა, ვიდრე ის მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივად იქცეოდა, ძალიან ბევრი უწყების და იურისტის ხელში გაიარა.

„თუმცა სამართლებრივი კუთხით რამდენიმე შენიშვნა ჯერ კიდევ გვრჩება და საპარლამენტო განხილვის დროს დაიხვეწება. რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს, რომლებიც შესაძლოა, ამ კოდექსიდან გამომდინარეობდეს. როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, შესაბამისმა სამინისტრომ, პარლამენტმა და სხვადასხვა უწყებებმა იმუშავეს, რათა შიშის და შეშფოთების ყველანაირი საფუძველი აღმოფხვრილიყო,“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიაღწიოს იმას, რომ როდესაც ადგილობრივი ტიპის პრობლემებია გადასაჭრელი, ყველაფერი თბილისიდან არ უნდა წყდებოდეს.

„ეს იქნება გაზის, ნაგვის თუ სხვა თემა, ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იყოს რეალურად პასუხისმგებელი იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი ადგილობრივ დონეზე,“ - აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, კოალიციის პოლიტსაბჭოს თვითმმართველობის კოდექსის შესახებ 15-მდე შენიშვნა ჰქონდა და აღნიშნული შენიშვნები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გათვალისწინებული იქნება.

„ბოლო დღეების განმავლობაში საკმაო აურზაური გამოიწვია. საზოგადოებაში იყო შენიშვნები. მინდა, აღვნიშნო, რომ შედგა კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომა, სადაც ჩვენი 14-15 შენიშვნა იყო წარმოდგენილი. ეს შენიშვნები პარლამენტში იქნება გათვალისწინებული, კომიტეტებში განხილვა დაიწყება და საუკეთესო ვარიანტი იქნება მიღებული. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ამ კანონის ამოქმედება მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ გვინდა, დემოკრატიული ქვეყანა ვიყოთ,“ - განაცხადა კალაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ეკა ბესელიას განცხადებით, თვითმმართველობის კოდექსი არსებული სახით არ დარჩება.

„კონსულტაციები იყო. ცვლილებები განხორციელდება. კანონპროექტი იმ სახით არ დარჩება, რა სახითაც არის შემოსული. მნიშვნელოვანი კორექტირება განხორციელდება და ეს მოხდება საკომიტეტო მოსმენაზე. ის წუხილი, რომელიც სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან იყო გამოთქმული, მაქსიმალურად აისახება და გაზიარებული იქნება. ყველა ის ცხელი საკითხი, რომლებიც ამ დისკუსიაში იყო, გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რათა ნაბისმიერი საფრთხე გამოირიცხოს,“ - განაცხადა ბესელიამ.

თვითმმართველობის კოდექსის შესახებ საპარლამენტო უმცირესობამ გუშინ, საღამოს, შიდა მსჯელობა გამართა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვაშაძის თქმით, თვითმმართველობის კანონი და რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა კანონპროექტის ირგვლივ ჯერ კიდევ ბევრი გაურკვევლობა, არეულობა და გაუგებრობაა.

ვაშაძის განმარტებით, კონკრეტულად ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, რა საარჩევნო სისტემა და გარემო იქნება თვითმმართველობებში და რა დაფინანსების წყარო ექნებათ.

ამასთან, უმცირესობის წარმომადგენლის აზრით, მენეჯერული თვალთახედვით, ქალაქების დაშლა მოსახლეობას ძალიან დიდ პრობლემას შეუქმნის.

გიორგი ვაშაძე კოდექსის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ დიდი ავტორიტეტისა და ნდობის მქონე ადამიანის მიერ პოზიციის დაფიქსირება რთულია, რადგან შესაძლოა, კონკრეტული საკითხის მიმართ საზოგადოების მიდგომა რადიკალურად შეიცვალოს.

პარლამენტარი დასძენს, რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ კოდექსის ირგვლივ კომუნიკაცია გაიზრდება.

თვითმმართველობის კოდექსის პროექტს არასაპარლამენტო ოპოზიციაშიც ეხმაურებიან.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის თქმით, შემოთავაზებული პროექტი თავისთავად ფედერალიზმს არ გულისხმობს, მაგრამ ის, რომ რეგიონის დონეზე იქნება წარმომადგენლობითი სტრუქტურა, სწორედ ავტონომიური ერთეულებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

ლევან ვეფხვაძემ გაიხსენა 2004 წელს პრესაში გამოქვეყნებული კონცეფცია „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“ და განაცხადა, რომ თვითმმართვლობის კოდექსის წარმოდგენილი სახით მიღების საბოლოო მიზანი აღნიშნული კონცეფციის განხორციელებაა.

„2004 წლის გამოქვეყნებული კონცეფციის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა უნდა დაიშალოს სრული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოებად, სადაც ამ სტატუსს მიიღებენ არა მარტო აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი ან აჭარა, არამედ სხვა ისტორიული პროვინციებიც - კახეთი, ქართლი, იმერეთი და სხვა,“ - განაცხადა ვეფხვაძემ და აღნიშნა, რომ დოკუმენტის მომზადებაზე «ნაციონალური მოძრაობის“ და «რესპუბლიკური პარტიის“ წევრები მუშაობდნენ.

ამასთან, როგორც ვეფხვაძე ამბობს, კოდექსის პროექტი კონსტიტუციის მეორე მუხლსაც ეწინააღმდეგება, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფო მოწყობა საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ განისაზღვრება.

„ის რომ, კოდექსში ჩვენ გვაქვს გუბერნატორი, რომელსაც თვითმმართველობასთან არანაირი კავშირი არ აქვს, ის რომ, კოდექსში ვხვდებით სსიპ რეგიონთა გაერთიანებას, ეს უკვე ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან. ამის გაკეთება ნიშნავს კონსტიტუციის დარღვევას ან იმას, რომ ვიღაცამ დღეს ხელისუფლებაში ჩათვალა, რომ იურისდიქცია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უკვე აღდგენილია,“ - აღნიშნა ვეფხვაძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

უამინდობას მსხვერპლი მოჰყვა

პირველი გვერდიდან

სახლის ჩამონგრევისას ოჯახი დიასახლისი დაშავდა. იგი რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ათსულიანი ოჯახი კი ამ დროისთვის მეზობლის სახლს აფარებს თავს.

ქობულეთის გამგებლის ინფორმაციით კი, მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტს ელექტროენერგია არ მიეწოდება. კერძოდ, ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანების შედეგად 195 000-მდე აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

ენერგეტიკის სამინისტროში ამბობენ, რომ დიდთოვლობის და ძლიერი ქარბუქის გამო დაზიანდა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები „პალიასტომი-1“ და „პალიასტომი-2“, რომლებითაც ქალაქი ბათუმი და მისი მიმდებარე რაიონები მარაგდება.

დაზიანების ადგილებზე გუშინ სპეციალური ჯგუფები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ, რათა ავარიის ლიკვიდაცია უახლოეს საათებში მომხდარიყო და ბათუმისა და მიმდებარე რაიონებისთვის ელექტროენერგიის მიწოდება განახლებულიყო.

დაზიანების ადგილზე მიმდინარე აღდგენით სამუშაოებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და სისტემის ხელმძღვანელი პირები ხელმძღვანელობდნენ და, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, სტიქიით მიყენებული ზარალის დადგენას ცდილობდნენ.

უამინდობამ ასევე დააზიანა მაღალი 110-კილოვოლტიანი და დაბალი ძაბვის ხაზები იმერეთში, სამეგრელოსა და აჭარაში, რის გამოც, საერთო ჯამში, 195 000 აბონენტია გათიშული.

„დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არის დაზიანებები, რაც წუხანდელმა თოვამ და ქარბუქმა გამოიწვია. პირველადი ინფორმაციით, დაზიანებების უმეტესობა მაღალი ძაბვის მხარეს არის, თუმცა დაზიანების ადგილები ნაპოვნია და აღდგენითი სამუშაოები დაწყებულია. ელექტროენერგია არ მიეწოდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს. მთლიანად გათიშულია ხულოს, ქედას, ბაღდათისა და ვანის რაიონები. მობილიზებულია ენერგოგამანაწილებელი კომპანიების ბრიგადები. სამუშაოები 24 საათის განმავლობაში, უწყვეტი რეჟიმით მიმდინარეობს და ამინდის პირობებიდან გამომდინარე, აბონენტებს ელექტროენერგიის მიწოდება ეტაპობრივად აღუდგებათ,“ - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ.

მისივე ინფორმაციით, დედაქალაქში ელექტროენერგიის გათიშვა არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ზარალს, ხმალაძის თქმით, ზარალი ჯერ დათვლილი არ არის.

„ენერგო-პრო ჯორჯიაში“ ამბობენ, რომ უამინდობამ დასავლეთ საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. კომპანიაში განმარტავენ, რომ დიდთოვლობას ძლიერი ქარი ერთვოდა, რამაც როგორც დაბალი, ასევე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები დაზიანა.

„მთელი ღამის განმავლობაში ზოგიერთ რაიონში თოვას ძლიერი ქარი ერთვოდა, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა როგორც დაბალი, ისე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. დაზიანებულია 110 კილოვოლტიანი და 35 კილოვოლტიანი 22 გადამცემი ხაზი, ასევე ელექტროენერგიის გადამცემი 130 ბოძი. დაზიანების შესახებ ინფორმაციის შემოსვლისთანავე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური ბრიგადები ოპერატიულად გავიდნენ ადგილებზე დაზიანების აღმოფხვრის მიზნით,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, კომპანიის ინფორმაციით, დიდთოვლობის გამო რეგიონებში გზები ჩაიკეტა, რაც სოფლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას აფერხებს.

გუშინ პარალიზებული იყო მოძრაობა ბათუმი-ქობულეთის საავტომობილო მაგისტრალის ციხისძირის მონაკვეთზე. დღის განმავლობაში მოძრაობა შეფერხებული იყო რიკოთის უღელტეხილზეც.

უღელტეხილზე ე.წ. ტრაილერებს არ ატარებდნენ, ხოლო მსუბუქ ავტომანქანებს გადაადგილების უფლებას მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით აძლევდნენ. გზაზე მოძრაობას საპატრულო პოლიცია არეგულირებდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, რიკოთის უღელტეხილზე მობილიზებულია დამატებითი სპეცტექნიკა, რომელიც გზას მუდმივ რეჟიმში წმენდს. უწყების ცნობით, საყურადღებოა, რომ ინტენსიური თოვის გამო გზის საფარი სველდება, ამის გათვლისწინებით, მძღოლებმა მოცურების თავიდან ასაცილებლად გამართული მანქანებით და კარგი საბურავებით უნდა იმოძრაონ.

ამასთან, დიდთოვლობის გამო თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ქუთაისის მონაკვეთზე აკრძალული იყო მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა. მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ჟინვალი-ლარსის მონაკვეთზე კი თოვლისა და ლიპყინულის გამო მოძრაობა აეკრძალათ 30 ადგილზე მეტი ტვადობის ავტობუსებსაც.

თოვლმა გუშინ, დილით, ქუთაისის მოსახლეობასაც შეუქმნა პრობლემები. თოვლის შედეგად გართულდა როგორც ქვეითად მოსიარულეების, ისე საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა.

ქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახური, საგანგებო და დასუფთავების სამსახურებთან ერთად, მუშაობის საგანგებო რეჟიმზეა გადასული.

„ქალაქში ცენტრალური გზები გაწმენდილია. ამჟამად გარეუბნებში - საფიჩხიის, ჭომისა და გორის დასახლებებში გავდივართ. ხიდებზე ტექნიკური მარილი იყრება. მარილს დავყრით ცენტრალურ მოედანზეც,“ - ამბობს კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზურა ზამბახიძე.

სინოპტიკოსების პროგნოზით, 17 დეკემბრამდე საქართველოში ცივი და ცვალებადი ამინდებია მოსალოდნელი. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომელ სვეტლანა ნიორაძის განცხადებით, გუშინ ღამით, საქართველოში მაღალი ყინვა დაფიქსირდა. კერძოდ: -5 გრადუსი დასავლეთ საქართველოს დაბლობში; -6 გრადუსი თბილისში; -6; -8 გრადუსი კახეთში; -15 - შიდა ქართლში; -18 გრადუსი მთასა და მაღალმთაში.

სინოპტიკოსების პროგნოზით, ყინვა შემდეგ დღეებშიც, 17 დეკემბრამდე შენარჩუნდება.

ამასთან, სინოპტიკოსები ამბობენ, რომ დღეს საქართველოში გამოიდარებს, თუმცა 11 დეკემბერს ისევ თოვლია მოსალოდნელი.

უამინდობამ პარლამენტის მუშაობას ხელი შეუშალა

უამინდობამ საქართველოს პარლამენტის მუშაობასაც ხელი შეუშალა. დიდთოვლობის გამო თბილისი-ქუთაისის გზაზე შეფერხებები იქმნებოდა. პარლამენტის აპარატში ამბობდნენ, რომ მიუხედავად უღელტეხილზე განხორციელებული გაწმენდითი სამუშაოებისა, დეპუტატებს პარლამენტში ჩასვლა მაინც გაუჭირდათ.

თუმცა, გუშინ, დღის ბოლოს, გადაწყდა, რომ უამინდობის მიუხედავად, საპარლამენტო კომიტეტების სხდომები დღეს ქუთაისის პარლამენტის შენობაში გაიმართება. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, თბილისში კომიტეტების სხდომების ჩატარება ვერ მოხერხდება, რადგან ყველა საჭირო დოკუმენტაცია ქუთაისის პარლამენტშია თავმოყრილი.

ავწონ-დავწონეთ შექმნილი მდგომარეობა. ამინდი არ უმჯობესდება, მაგრამ ჩვენ მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულები ვართ და გარკვეულ ვადებში უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები, მათ შორის - მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ. თბილისში კომიტეტების სხდომების ჩატარების შესაძლებლობაც განვიხილეთ, მაგრამ ამას სერიოზული მინუსები აქვს, რადგან პარლამენტშია თავმოყრილი ის პერსონალი და მასალა, რაც აუცილებელია კომიტეტის სხდომის სრულყოფილად ჩატარებისთვის,“ - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ვილნიუსის სამიტის გამოწვევები

პირველი გვერდიდან

ადამიანი, რომელიც თბილისში ზის, უნდა იაზრებდეს, რა ხდება თუშეთში და აჭარის მაღალმთიან სოფელში, რადგან სრულიად სხვა ტრადიცია, კულტურაა, სხვა მეზობელი ჰყავს. სვანეთსა ან ყაზბეგში გადადგმული ერთი ნაბიჯი აჭარაში შეიძლება, სხვანაირად რეზონირდეს. ამ პროცესში ჩვენ ზურასგან ბევრი რამ ვისწავლეთ. ის ძალიან რეალისტი პოლიტიკოსი იყო. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ევროპელი პარტნიორები გვხედავენ, როგორც გაფართოებული ევროპული ოჯახის წევრს. ეს არის მთლიანობა, ჩვენი საზოგადოების კონსენსუსი, საქართველოს აქვს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ნება ამ გზით სვლისთვის. საშიშროებაზე საუბარი იმ გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რაც ვნახეთ. ჩვენ ვსწავლობთ ყველა ნაბიჯს. ჩვენი ევროპელი პარტნიორები ბოლომდე ჩვენ გვერდით დგანან. ერს უნდა ჰქონდეს თავისუფალი ნება, როგორც სურს და საითაც სურს, იქით განვითარდეს. საუბარი იყო იმის შესახებ, ეს ჩვენთვის რა კულტურული მონაპოვარია და ამ პროცესში ნებისმიერი სხვა მხარის ჩარევა დაუშვებელია. ოპტიმისტი ვარ, რადგან სერიოზულ მხარდაჭერას ვხედავ,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირთან ურთიერთობის თემაზე კონფერენცია ზურაბ ჟვანიას 50 წლისთავს ეძღვნება. **„ახლა ჩვენი თაობაა პასუხისმგებელი იმაზე, როგორ ივლის საქართველო ევროპისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ ვალდებულნი ვართ, თანამიმდევრული და სწორი ნაბიჯებით ვიაროთ ამ გზაზე, რათა ჩვენმა ქვეყანამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს და ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდეს,“** - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

კონფერენცია პარლამენტის თავმჯდომარემ გახსნა. დავით უსუფაშვილმა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში ზურაბ ჟვანიას წვლილზე ისაუბრა.

„კონფერენცია იმ ყველაფერს ეძღვნება, რაც ზურაბ ჟვანიამ ერთ ფრაზაში ასე ლაკონურად გამოთქვა. საქართველოსა და ევროპის მხრიდან უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის და ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებას ხორცი შეესხას და გაფართოებულ და განვითარებულ ევროპაში ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიმკვიდროთ,“ - ამბობს დავით უსუფაშვილი, - **გზა ევროპისკენ რომელიმე ერთი ძალის, ლიდერის ან ეპოქის მონაპოვარი არ არის. ეს არის გზა, რომლის წარმატებაში სერიოზული წვლილი შეიტანა ზურაბ ჟვანიამ, რომელიც გრძელდება და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება ვილნიუსის სამიტის შედეგები იყო.“**

მოგვიანებით ჟურნალისტებთან საუბარში დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ ზურაბ ჟვანია იყო პოლიტიკოსი, რომლის სიდიდესა და სიძლიერეს ყველა მისი მომხრე თუ მოწინააღმდეგე აღიარებდა. როგორც უსუფაშვილი ამბობს, საქართველოს პარლამენტი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ზოგადსახელმწიფოებრივი და ეროვნული სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების რეალიზებას ბევრი ადამიანის შრომა სჭირდება, როგორც ერთდროულად, ისე სხვადასხვა ეპოქებში.

ამჟამად, პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, საქართველო იმ შედეგებს აჯამებს, რომლებიც ევროინტეგრაციის მიმართულებით აქვს. მისი თქმით, ირკვევა ის კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაც აუცილებელია.

დავით უსუფაშვილი საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების შესახებაც საუბრობს. **„საქართველოს მეზობელ ქვეყნებს საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პოზიციები აქვთ. საქართველოს მთავრობა, პარლამენტი, პოლიტიკური კლასი, რომელიც ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას მხარს უჭერს, მობილიზებული უნდა იყოს, ვინაიდან ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან ამ პროცესის ხელშეშლაა მოსალოდნელი. ეს შესაძლებელია სხვადასხვა გზებით და საშუალებებით განხორციელდეს,“** - ამბობს უსუფაშვილი და დასძენს, რომ ამ კონფერენციით კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის ერთობა და მზადყოფნა, რაც სამოქალაქო სექტორსა და პოლიტიკურ კლასს აქვთ.

დავით უსუფაშვილი უკრაინაში მიმდინარე პროცესებსაც შეეხო. მან უკრაინელ ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა და იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო საზოგადოება უკრაინელი ხალხის გვერდით დადგება.

ზურაბ ჟვანიას დამსახურების შესახებ საუბრობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი უმცირესობიდან გიორგი ბარამიძე. **„დღეს ზურაბ ჟვანიას იუბილეა. ის ბედნიერი იქნებოდა, ეხილა საქართველო, რომელიც ბევრად ახლოს არის იმ მიზანთან, რასაც ევროპის თავისუფალ და დემოკრატიულ ერთა ოჯახის სრულფასოვანი წევრობა ჰქვია. ზურაბ ჟვანიამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ პარლამენტარიზმს და, ასევე, ლომის წილი შეიტანა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების საქმეში. გარდა ამისა, პრეზიდენტთან ერთად, ის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის კიდევ უფრო ინტენსიურად წარმართვის ინიციატორი იყო. ზურაბ ჟვანიას ღვაწლი ამ მიმართულებით, ისევე როგორც პარლამენტარიზმის და ქართული თანამედროვე პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების საქმეში, ფასდაუდებელია. ჩვენ ვამაყობთ, რომ ზურაბ ჟვანიას თანამებრძოლები და მეგობრები ვიყავით,** - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

კონფერენციას ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. **„ზურა ის ადამიანი იყო, რომელსაც ასეთი საქმიანი იუბილე უნდა ჰქონოდა,“** - თქვა ზურაბ ჟვანიას ქვრივმა ნინო ქადაგიძემ. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციაზე, სადაც ვილნიუსის სამიტის შედეგები განიხილება, ზურაბ ჟვანიას წვლილზეა საუბარი.

გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ძმა გოგლა ჟვანია, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის წევრია, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიების შესახებ საუბრობს. **„ზურას გარდაცვალების საქმის გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს. ბოლო პერიოდში ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა და ვიცი, რომ საქმე უახლოეს პერიოდში დასრულდება და საზოგადოება ყველა კითხვაზე პასუხს მიიღებს. უფრო მეტის გაცხადების უფლება დღეს არ მაქვს. ზურას გარდაცვალების მიმართ ჩემი დამოკიდებულება საზოგადოებამ იცის და არ მინდა, ზედმეტი განცხადებები გავაკეთო, რათა ვიღაცამ ეს გამოძიებაზე ზეწოლად არ აღიქვას. გამოძიება ძალიან კომპეტენტური ხალხის ხელშია,“** - აღნიშნავს გოგლა ჟვანია.

კონფერენციის მეორე ნაწილი „ასოცირების შეთანხმების“ პარაფირების შემდგომ საქართველოს წინაშე დასმული ამოცანების განხილვას მიეძღვნა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის წინაშე არსებული გამოწვევები, ძირითადად, საგარეო ხასიათისაა. სახელმწიფო მინისტრის თქმით, საქართველოს ხელისუფლება მზად არის იმ ე.წ. „საშინაო დავალების“ შესასრულებლად, რომელიც ქვეყანას ევროკავშირში უფრო ღრმა ინტეგრაციამდე მიიყვანს.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, პარალელურად ვიზის ლიბერალიზაციის გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანესი პროცესი მიმდინარეობს და შეუქცევადობის მთავარი გარანტი ევროკავშირისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრდაჭერა იქნება.

რაც შეეხება რუსეთისგან მოსალოდნელ ზეწოლას, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობაზე საუბრობს. როგორც კალაძე აღნიშნავს, მართალია, საქართველო 75 პროცენტით მეზობელ ქვეყნებზე, ძირითადად, აზერბაიჯანსა და რუსეთზეა დამოკიდებული, მაგრამ საქართველოს ნამდვილად აქვს შესაძლებლობა, ენერგოდამოუკიდებელი იყოს. როგორც მინისტრი ამბობს, მნიშვნელოვანია, ქვეყანამ ჰიდრორესურსები მაქსიმალურად გამოიყენოს. მანამდე კი, კალაძის თქმით, საქართველოს ზამთარში რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოტანა უწევს. **„რუსეთი ელექტროენერგიას საინტერესო ფასად გვაწვდის. თუ ისე მოხდება, რომ რუსეთის მხრიდან ზეწოლა იქნება, საქართველო ელექტროენერგიას აზერბაიჯანიდან ან, შესაძლოა, თურქეთიდან, შედარებით მაღალ ფასად, მაგრამ მაინც შემოიტანს,“** - აღნიშნავს კალაძე, თუმცა ამ სფეროში რუსეთისგან გართულებებს არ ელოდება, - **ენერგეტიკულ სფეროში რუსეთთან საქართველოს მჭიდრო და კარგი ურთიერთობა აქვს. რუსეთს ზეწოლის ეს ბერკეტი არც 2008 წელს გამოუყენებია და არც მას შემდეგ.“**

ენერგეტიკის მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხზე საუბრისას კი აღნიშნავს, რომ საქართველომ ევროპულ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების განაცხადი გააკეთა. კალაძის თქმით, ეს საკანონმდებლო დონეზე ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას ითვალისწინებს, რაც ვაჭრობას და 2015 წლიდან ახალი წესების შემოღებას ეხება.

ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მომავალი 9-10 თვე ძალიან დატვირთული იქნება. როგორც მინისტრი აღნიშნავს, პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკური საბჭო შექმნა, რომელთან ერთადაც მოქმედი საკოორდინაციო ჯგუფი ვილნიუსში მიღებული გზამკვლევის აღსრულებას ორგანიზებას გაუწევს.

კვირიკაშვილის ინფორმაციით, რეფორმები ბევრ სფეროში იგეგმება, მათ შორის დაგეგმილია ხარისხის კონტროლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ურთიერთაღიარების მექანიზმის ჩამოყალიბება, სურსათის უვნებლობის კონტროლის გაძლიერება და კონკურენციის კანონმდებლობის დახვეწა. **„საქმე სამ სფეროს ეხება - საქონლის მომსახურების და კაპიტალგადაადგილების ლიბერალიზაციას. ეს ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაზე დადებით შედეგს მოახდენს. ერთ-ერთი ვალდებულების თანახმად, ქართული კომპანიები ევროპულ ქვეყნებში სახელმწიფოს შესყიდვებში მონაწილეობას შეძლებენ,“** - აღნიშნავს ეკონომიკის მინისტრი.

„ასოცირების შეთანხმებამდე“ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ საუბრობს საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი კანდელაკი. მისი თქმით, «ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, აღიარა, რომ საქართველო ეკონომიკურად და ენერგომატარებლების კუთხით რუსეთზე დამოკიდებული არ არის. **„აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება საკმაოდ უპრინციპო პოპულიზმით იყო დაკავებული,“** - შენიშნავს კანდელაკი.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის კონტექსტში მთავარ გამოწვევად კანდელაკი საქართველოში პოლიტიკური ანგარისშსწორების კამპანიის დასრულებას მიიჩნევს, **პოლიტიკური ანგარიშსწორების საკითხი ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაშია ნახსენები, ისევე როგორც ამ თემას არაერთხელ შეეხნენ ევროპელი ლიდერები. საქართველომ მერაბიშვილის და ახალაიას საქმეები უნდა დასრულოს და წინ გაიხედოს,“** - თქვა კანდელაკმა.

საკუთარი ინფორმაცია

გაეროს ინსპექტორებმა ირანის ბირთვული ქარხნები მოინახულეს

კვირას გაეროს, უფრო ზუსტად, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებმა ირანის ბირთვული ქარხნები დაათვალიერეს. ამას წინ უძღვოდა ირანსა და ე.წ „ექვსეულს“ შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ირანმა ბირთვული პროგრამის გაფართოებაზე უარი თქვა, სანაცვლოდ კი დასავლეთი ამ ქვეყნის მიმართ დაწესებულ მკაცრ ეკონომიკურ სანქციებს შეამსუბუქებს. ორი წლის განმავლობაში პირველად ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებს არაკის მძიმე წყლის რეაქტორის მონახულების საშაულება მიეცათ. ეს რეაქტორი დიდ შეშფოთებას იწვევდა - დასავლეთი შიშობდა, რომ აქ ირანი ბირთვული ბომბის, კერძოდ კი პლუტონიუმის შექმნაზე მუშაობდა. თუმცა, თეირანი ადრეც და ახლაც აცხადებს, რომ მის მიზანს ატომური ბომბის შექმნა არ წარმოადგენს. ე.წ „ჟენევის შეთანხმების“ განსახილველად ირანის, ამერიკის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ჩინეთის წარმომადგენლები 9-10 დეკემბერს ვენაში შეხვდებიან ერთმანეთს.

სინგაპურში არეულობის შემდეგ 27 ადამიანი დააკავეს

„როიტერის“ ცნობით, კვირას სინგაპურში, ინდოეთის ქუჩაზე, დაახლოებით, 400-მა ადამიანმა მანქანები გადაწვა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. აღნიშნულს კი წინ მამაკაცის სიკვდილი უძღოდა, რომელსაც ავტობუსი დაეჯახა. ეს არეულობა ქვეყანში 40 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბურია. გარდაცვლილი ინდოეთის 33 წლის მოქალაქეა. პოლიციის განცხადებით, დაპატიმრებულია 27 ეჭვმიტანილი. ისინი, ძირითადად, სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან არიან. პოლიცია უახლოეს დღეებში უფრო მეტი ადამიანის დაპატიმრებას გეგმავს. სინგაპურის პოლიციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი ინფორმაციით, არეულობაში სინგაპურის მოქალაქეები არ მონაწილეობდნენ. ქვეყნის პრემირმა ლი სიენ ლუგმა მომხდარს „ძალიან სამწუხარო ინციდენტი“ უწოდა. ბოლო პერიოდში სინგაპურში მცხოვრები უცხო ქვეყნების დაბალანაზღაურებადი მუშების უკმაყოფილება იზრდება - მაგალითად, გასულ წელს 170 ჩინელი ავტობუსის მძღოლი გაიფიცა.

ქურთმა მეამბოხეებმა 4 თურქი სამხედრო ტყვე გაათავისუფლეს

ქურთების მუშათა პარტიის შეიარაღებულმა მებრძოლებმა ცოტა ხნის წინ ოთხი თურქი გატაცებული სამხედრო გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციით, გათავისუფლება ქურთი პოლიტიკოსების ჩარევის შემდეგ მოხდა. თურქი სამხედროები დაირბექირში შაბათს გაიტაცეს, რასაც ქურთი დემონსტრანტებისა და თურქი პოლიციელების დაპირისპირება უძღოდა წინ. ქურთები „ქურთების მუშათა პარტიის“ წევრების საფლავების შეურაცხყოფას აპროტესტებდნენ, თურქეთის პოლიციამ კი მათ წინააღმდეგ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. რამდენიმე თვის წინ თურქეთმა და „ქურთების მუშათა პარტიამ“ სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყეს. „ქურთების მუშათა პარტია“ თურქეთს, ამერიკასა და ევროკავშირს ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ჰყავს შეყვანილი.

ამერიკის თავდაცვის მინისტრი პაკისტანში ჩავიდა

ორშაბათს ამერიკის თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი პაკისტანში ჩავიდა. პაკისტანის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, მოლაპარაკებებზე ავღანეთის სამშვიდობო პროცესის შესახებ იმსჯელებენ; ასევე განიხილება ამერიკის მიერ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატიდან განხორციელებული თავდასხმები. ჰეიგელი ისლამაბადში ქაბულიდან ჩაფრინდა, სადაც მინისტრი ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის შეხვდა. პაკისტანში ჰეიგელი ქვეყნის პრემიერ ნავაზ შარიფსა და პაკისტანის არმიის ახალ ხელმძღვანელს, გენერალ რაჰილ შარიფს შეხვდება. პაკისტანსა და ამერიკას შორის ურთიერთობის გაუარესება უპილოტო საფრენი აპარატებიდან განხორციელებულ იერიშებს უკავშირდება. პაკისტანი ამ იერიშებს ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად აფასებს. ამერიკაში კი აღნიშნულს ტერორისტების წინააღდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად ახასიათებენ.

ამ კვირაში სამხრეთ აფრიკაში 70 ქვეყნის ლიდერი ჩავა

სამხრეთ აფრიკის ოფიციალური პირების ცნობით, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ნელსონ მანდელას სამგლოვიარო ცერემონიას 70-ზე მეტი ქვეყნის ლიდერი დაესწრება. ქვეყანაში, ამერიკის მოქმედ პრეზიდენტ ბარაკ ობამას გარდა, ჩასვლას გეგმავს ამერიკის სამი ყოფილი პრეზიდენტი: ბილ კლინტონი, ჯორჯ ბუში და ჯიმი კარტერი. „მთელი მსოფლიო სამხრეთ აფრიკაში ჩამოდის,“ - აღნიშნა ქვეყნის დიპლომატიური უწყების წარმომადგენელმა კლაისონ მონიელამ. ნელსონ მანდელა ხუთშაბათს 95 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბაქოში საწვავზე ფასის მატება გააპროტესტეს

«კავკაზსკი უზელის“ ინფორმაციით, 8 დეკემბერს ბაქოს ცენტრში, დაახლოებით, 100-მა ახალგაზრდამ საწვავზე ფასის მატება გააპროტესტა. თუმცა, დემონსტრანტები აქციის დაწყებიდან 10 წუთის შემდეგ პოლიციის ჩარევის შედეგად დაიშალნენ. პოლიციასთან დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად „აზერბიჯანის ევროპული მოძრაობის“ ლიდერმა რამინ გაჯილმა დემონსტრანტებს დაშლისკენ მოუწოდა. სააგენტოს ცნობით, პოლიციის თანამშრომლებმა გაჯილს ჟურნალისტებისთვის ინტერვიუს მიცემის საშუალება არ მისცეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

„ევრომაიდანი„ სპეცრაზმების შტურმის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

სპეცრაზმმა „ბერკუტმა“ ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიის „ბატკივშჩინას“ კიევის ოფისიც დაიკავა. პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს დასავლეთი პირდაპირ, ფაქტობრივად, ღიად მოუწოდებს სიმშვიდისკენ. დღეს კიევში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი ჩადის, რომელიც იანუკოვიჩს უნდა შეხვდეს. გუშინ საღამოს კი უკრაინის პრეზიდენტს ქვეყანაში შექმნილი კრიზისის განსახილველად შეხვედრა ჰქონდა მრგვალ მაგიდასთან, რომელშიც ექს-პრეზიდენტები: ლეონიდ კრავჩუკი, ლეონიდ კუჩმა და ვიქტორ იუშჩენკო, აგრეთვე მმართველი პარტიისა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები მონაწილეობდნენ.

ჯერ მოკლედ შევეხებით გასული შაბათ-კვირის მოვლენებს. უქმე დღეებზე დამოუკიდებლობის მოედანზე და მის მიმდებარე ქუჩებში მანიფესტანტთა და მოპიკეტეთა რიცხვი ისევ მკვეთრად გაიზარდა. ევროინტეგრაციის მომხრეები დილას, ტრადიციულად, ეროვნული ჰიმნის სიმღერით იწყებენ და საღამოს მიტინგით ამთავრებენ, რომელზეც სიტყვით გამოდიან ოპოზიციის ლიდერები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. მათ ხშირად უცხოელი პოლიტიკოსებიც სტუმრობენ - მაგალითად, შაბათს კიევში საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ჩავიდა, მოლდავეთის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ძალის «ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის» ლიდერ ვლად ფილატსა და კიდევ რამდენიმე დასავლელ კოლეგასთან ერთად. ისინი დამოუკიდებლობის მოედანზე სიტყვითაც გამოვიდნენ და ოპოზიციის ლიდერებსაც შეხვდნენ.

მომიტინგეები, ისევე როგორც წინა დღეებში, მთავრობის შენობისა და პრეზიდენტის რეზიდენციის პიკეტირებას კვლავ აგრძელებდნენ. ამ შენობებს, ცხადია, შინაგან საქმეთა სამინისტროს გაძლიერებული რაზმები იცავენ. მომიტინგეები მათთან ახლოს არ მიდიოდნენ და ინციდენტები არ მომხდარა. მინისტრებს და სხვა ჩინოვნიკებს შენობებში შესვლაც შეეძლოთ, ოღონდ ვიწრო ბილიკით, ფეხით და მუშაობაც. ოპოზიცია კვირას აცხადებდა, რომ აქციების მასშტაბი ყოველდღიურად გაიზრდებოდა და ისინი ყოველდღე ახალი სამთავრობო დაწესებულების პიკეტს მოაწყობდნენ. პარალელურად ხალხს აქტიურობისკენ მოუწოდებდნენ.

კვირას დამოუკიდებლობის მოედანზე „სახალხო ვეჩეზე“ მისულთა რაოდენობა, წინა კვირის მსგავსად, ისევ ძალიან შთამბეჭდავი იყო. მთლიანად კიევის ცენტრალურ ქუჩებში ასობით ათასი ადამიანი იყო გამოსული. აქვე მივუთითებთ, რომ ევროპული კურსის მომხრეთა გარდა, მათ სიახლოვეს პრეზიდენტ იანუკოვიჩის მხარდამჭერთა მიტინგიც გაიმართა, რომელზეც, მმართველი „რეგიონების პარტიის“ მტკიცებით, რამდენიმე ათასი კაცი მივიდა.

კვირის მოვლენებიდან ყველაზე „ღირსშესანიშნავი“ მაინც ბესარაბიის მოედანზე მდგარი ლენინის ძეგლის ჩამოგდება გახდა, რაც ხალხის ჯგუფმა „მეორე ცდაზე“ მოახერხა (წინა კვირას ძეგლის დაცვა „ბერკუტმა“ შეძლო). რამდენიმე ათეულმა ნიღბიანმა ახალგაზრდამ ძეგლი ტროსის საშუალებით ჩამოაგდო. მილიცია მოედანზე იყო, მაგრამ მათ აქციის მონაწილეებისთვის ხელი არ შეუშლიათ. ჩამოგდებული ძეგლი ურიოებით დაამტვრიეს და ხალხმა ნამტვრევების სუვენირებად წაღება დაიწყო. ცარიელ კვარცხლბეკზე კი უკრაინის ეროვნული და შავნითელი დროშები აღმართეს.

ორშაბათს, დილიდან, კიევის ცენტრში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმებისა და შინაგანი ჯარების მობილიზაცია დაიწყო. სამართალდამცავებმა, ფაქტობრივად, ალყა შემოარტყეს დამოუკიდებლობის მოედანსაც და პიკეტებსაც, როგორც მთავრობის სასახლესთან, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან. ოპოზიცია შტურმის მოლოდინში იყო და მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ ისევ მოუწოდებდა. თუმცა უმრავლესობა მაინც მიიჩნევდა, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან ჯერჯერობით მხოლოდ ძალის დემონსტრირება იყო და არა შტურმი. საღამოსკენ პოლიციამ აქციების გარშემო მომიტინგეების მიერ მოწყობილი ბლოკპოსტები აიღო - ძირითადად, სამთავრობო შენობებთან და არა დამოუკიდებლობის მოედანზე. სახელისუფლებო შენობების მოპიკეტეებთან სასამართლო აღმასრულებლები მივიდნენ და გაშლილი კარვების აღება მოსთხოვეს. აქციის მონაწილეებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და კარვები, ფაქტობრივად, თვითონ დაშალეს, თუმცა ერთ-ერთ ბლოკპოსტზე ოპოზიციონერები მაინც გალახეს. შსს-ს სპეცრაზმმა, ოღონდ „ტიგრმა“ და არა „ბერკუტმა“, დემონსტრანტებს კიევის მერიის შენობა ყოველგვარი ძალადობის გარეშე დაატოვებინა. ამ რაზმის უფროსმა განაცხადა, რომ მათ შენობის შტურმის ბრძანება არ მიუღიათ და მხოლოდ წესრიგის დაცვა ევალებათ.

საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა, სავარაუდოდ „ბერკუტმა“, კიევში პარტია „ბატკივშჩინას“ ოფისი დაიკავა, შენობაში დამსხვრეულია შუშები და დაზიანებულია სერვერები, საღამოს პარტიის საიტიც გაითიშა. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა გუშინვე განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების ოფისების დაკავება ევროპისთვის მიუღებელი პრაქტიკაა.

გუშინ ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ იანუკოვიჩს ტელეფონით ელაპარაკა და მას სიმშვიდის გამოჩენისკენ, ასევე შეკრებებისა და სიტყვის თავისუფლების პატივისცემისკენ მოუწოდა. დღეს კი კიევში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, კეტრინ ეშტონის ვიზიტია დაგეგმილი. გუშინ გამოცხადდა, რომ უკრაინის მთავრობის დელეგაცია, ვიცე-პრემიერ სერგეი არბუზოვის ხელმძღვანელობით, ბრიუსელში მაინც გაემგზავრება და ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების ცალკეული ასპექტების შესრულების დეტალებს შეათანხმებს.

ტაილანდის პრემიერი ვადამდელ არჩევნებზე დათანხმდა

ივა შილაკაძე

ტაილანდში ერთ თვეზე მეტია, მასობრივი გამოსვლები მიმდინარეობს, რომლის მიზანი მოქმედი პრემიერის იინგლაკ ჩინავატის და მისი მთავრობის გადაყენებაა. არეულობის მიუხედავად, მთავრობა დათმობაზე არ მიდიოდა, დეკემბრის დასაწყისში კი რამდენიმედღიან ზავს «მიაღწია“ სიმბოლური ტაქტიკური დათმობისა და მეფის დაბადების დღის აღნიშვნის გამო. თუმცა შემდეგ პოლიტიკური დაპირისპირება განახლდა. გუშინ პრემიერი პარლამენტის დათხოვნასა და 60 დღის ვადაში ვადამდელი არჩევნების დანიშვნას დათანხმდა, თუმცა ეს ქუჩაში გამოსულებს არ აკმაყოფილებთ. მათ ეშინიათ, რომ იინგლაკ ჩინავატი, რომელიც ღარიბებს შორის პოპულარობით სარგებლობს, არჩევნებს ისევ მოიგებს.

ხელისუფლება თავიდან მანიფესტანტებს აქტიურ წინააღმდეგობას არ უწევდა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი პერიოდულად რიგ ადმინისტრაციულ შენობებში იჭრებოდა - მათ შორის სამინისტროებში, სახმელეთო ჯარების შტაბბინაში და სხვა. თვის დასაწყისში ხელისუფლება მაინც იძულებული გახდა, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოეყენებინა იმ დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობის რეზიდენციას და დედაქალაქ ბანგკოკის პოლიციის შტაბბინას უტევდნენ. ამას რამდენიმე ადამიანის დაღუპვა მოჰყვა, ათობით კაცი კი დაშავდა. შემდეგ მოულოდნელად მთავრობამ თვითონ შეუშვა ხალხი პოლიციის ეზოსა და მინისტრთა კაბინეტის შენობაში, რაც ახსნა კეთილი ნებით მეფის დაბადების დღის მოახლოების გამო. ეს დღესასწაული ტაილანდელებმა 6 დეკემბერს იზეიმეს, შემდეგ კი ხალხი ისევ გავიდა ქუჩაში.

ორშაბათს, დილას, პრემიერ-მინისტრმა იინგლაკ ჩინავატმა ტელევიზიით ხალხს მიმართა და მოულოდნელად ვადამდელ არჩევნებზე დათანხმდა. «მე მის უდიდებულესობას მეფეს პეტიციით მივმართე პარლამენტის დათხოვნის შესახებ. კაბინეტმა პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაში პოლიტიკურ მოწინაღმდგეებს შორის შეტაკებები და შესაძლო სისხლისღვრა თავიდან ავიცილოთ. ამას გარდა, დაე, ახალ საყოველთაო არჩევნებზე ხალხმა გადაწყვიტოს, ვისი ხილვა ურჩევნია ხელისუფლებაში,“ - განაცხადა ქალბატონმა იინგლაკ ჩინავატმა.

მანამდე, კვირას, ყველა ოპოზიციონერმა დეპუტატმა უფლებამოსილება მოიხსნა, თუმცა ეს ფორმალურად არ იწვევს პარლამენტის დათხოვნას, რადგან ჩინავატის პარტია უმრავლესობას ფლობს. ორშაბათისთვის დაგეგმილი იყო «სახალხო რევოლუცია“ მთავრობის წინააღმდეგ. ოპოზიციას და დემონსტრანტებს ახლავე სურთ მთავრობის შეცვლა სახალხო საბჭოთი. ისინი ამტკიცებენ, რომ დღევანდელ მთავრობას მოქმედი პრემიერის ძმა ტაქსინ ჩინავატი აკონტროლებს, რომელმაც ქვეყანა 2008 წელს დატოვა და რომელსაც შემდეგ კორუფციისთვის ორი წელი მიუსაჯეს. ამჟამინდელი გამოსვლებისთვისაც ბიძგი გახდა სწორედ მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ტაქსინ ჩინავატს ქვეყანაში და შესაბამისად პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბრუნების საშუალებას მისცემდა ციხეში ჩაჯდომის გარეშე. ეს კანონპროექტი სენატში ნოემბრის დასწყისშივე ჩავარდა, მაგრამ ოპოზიციას საპროტესტო ტალღის აგორების საბაბად ეყო.

გუშინ, დილას, ოპოზიციის ლიდერმა სუტეპ ტაუგსუბანმა მაინც განაცხადა, რომ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის გამო ოპოზიცია თავის გეგმებზე უარს არ იტყვის. «მარში მაინც ჩატარდება, რადგან ჩვენი მიზანი ეს არ იყო“. თუმცა ოპოზიციამ მოგვიანებით ის მაინც აღიარა, რომ დიდ გამარჯვებას უკვე მიაღწია. ტაუგსუბანი აქამდეც ღიად აცხადებდა, რომ ახალი არჩევნების შემთხვევაში ხელისუფლებაში ისევ ჩინავატის მომხრეები მოექცევიან. მისმა პარტიებმა (პირველი გადატრიალების შემდეგ სამხედროებმა აკრძალეს) ბოლო 6 წელიწადში უკვე ორი არჩევნები მოიგეს. «სახალხო საბჭოს“ შექმნის შემთხვევაში ქვეყნის ხელმძღვანელობა და პოლიტიკური სისტემის რეფორმირება მეფის მიერ დანიშნულ პიროვნებას დაევალება. თუმცა ტაილანდის მეფემ პუმიპონ ადულიადეტმა აქამდე უკვე განაცხადა, რომ მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ამ უფლების გამოყენებას არ აპირებს.

ბანგკოკში გუშინ ქუჩაში, დაახლოებით, 100 ათასი ადამიანი გამოვიდა. ქალაქი თითქმის მთლიანად პარალიზებულია. თუმცა დედაქალაქს მიღმა ოპოზიცია სერიოზული მხარდაჭერით არ სარგებლობს. სამხედროებმა 2006 წელს მოქმედი პრემიერის ძმა ტაქსინ ჩინავატი ჩამოაგდეს და კონსტიტუცია გადაწერეს, თუმცა ამჟამად ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ და პოლიტიკურ დაპირისპირებაში არ ერევიან.

დიდებული სილამაზის კვირა

პირველი გვერდიდან

„მოძღვრის შვილები“

„პროექტი „ნათელი“

„კომას“ გაქირავება ჩვენს კინოთეატრებში რამდენიმე თვის წინ მიმდინარეობდა. მაშინ არა ერთხელ აღნიშნეს, რომ რეჟისორმა და მისმა გუნდმა მაგრად იყოჩაღა, როდესაც ფილმი იმ თემაზე გადაიღეს, რომელმაც, საბოლოოდ, წინა მთავრობას ძირი გამოუთხარა. არჩილ ქავთარაძემ ალბათ ბევრჯერ მოისმინა ქება იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტი ჯერ კიდევ 2011 წელს დაგეგმა და გადაღებებიც დაიწყო, რამაც მაყურებელი ისე მოხიბლა, ფილმში ასახული სასტიკი რეალობის სანახავად კინოთეატრებში მისვლაც არ დაიზარა. რეალურად სისტემის წინააღმდეგ ხმის ამოღება, დინების საპირისპიროდ შეცურვა მაინც ნებისმიერ ხელოვანს მოეთხოვება, ამიტომ ქავთარაძის მიერ შესრულებული სამუშაოს გაფეტიშება ნამდვილად ზედმეტია. თუმცა ასე გადაწყვიტა ჟიურიმ, რომლის კომპეტენციაში ეჭვის შეტანა ცოტა ძნელია. ჭორის დონეზე კი ამბობენ, „კომას“ მთავარი ლობი ჟიურის წევრი სამირა მაჰმალბაფი იყოო. კარგია, ქალის აზრმა აქ მაინც რომ გაიმარჯვა.

„ვერცხლის პრომეთე“ რეჟისურისთვის თურქული „ნაწილაკის“ ავტორმა ერდემ ტეპეგოზიმ დაიმსახურა. ამ შემთხვევაში ჟიურის გადაწყვეტილება არავის გაუპროტესტებია. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში „ნაწილაკი“ მაინც ტოვებდა უკეთესის სურვილს, ტეპეგოზის მცდელობა შემოეთავაზებინა კარგი დრამა, ერთი ქალის გარშემო გაეერთიანებინა თანამედროვე თურქეთის, ევროპის, იქნებ მსოფლიო პრობლემებიც, დადებით შეფასებას იმსახურებდა. განსაკუთრებული ხედვისთვის დაწესებული ფარაჯანოვის სახელობის პრიზი ჟიურიმ იტალიელი ანდრეა პალაოროს „მედეას“ მიაკუთვნა. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან რთული, ზოგჯერ კი დამღლელი სტრუქტურის გამო ფილმისადმი დამოკიდებულება საკმაოდ უემოციო იყო, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ „მედეა“ საკონკურსო ფილმებს შორის ყველაზე მეტად ტოვებდა პროფესიონალური ნამუშევრის შთაბეჭდილებას.

ვინც თბილისის კინოფესტივალს დიდი ხანია ადევნებს თვალს, ალბათ შენიშნავდა, რომ წელს არც თუ ძლიერი საკონკურსო სექცია გვქონდა, თუმცა რამდენიმე ფილმმა მაინც დაიმსახურა მოწონება. ნამდვილად გულდასაწყვეტი იყო ბერძნული „სექტემბრის“ (რეჟისორი პენი პანაიოტოპულო) პრიზის გარეშე დარჩენა. ცოტა უსახურად დაწყებულმა ფილმმა მალე ძალიან კარგი ტემპი აკრიფა, ფინალისკენ კი უფრო უკეთესი გახდა. ფილმს დამატებით ქულას აძლევდა მსახიობ კორა კარვონის კარგი თამაში და, მიუხედავად იმისა, რომ ფინალის გამოცნობა დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე უკვე შესაძლებელი იყო, მთლიანმა ნამუშევარმა ეს „ნაკლი“ ოსტატურად გადაფარა. „სექტემბრისგან“ განსხვავებით კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლოსკენ გაფუჭდა ასევე საკონკურსო „ქალთა დღე“ (რეჟისორი მარია სადოვსკა, პოლონეთი). ფილმი სუპერმარკეტის თანამშრომელი ქალების ურთიერთობაზე, ერთ-ერთი მათგანის დაწინაურების გამო გაჩენილ უთანხმოებაზე ძალიან კარგი სოციალური დრამის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ზუსტად ისეთის, რომლის ჰეფი ენდის ნახვაც ყველაზე მეტად არ გინდა, მაგრამ რეჟისორი ამ სიამოვნებას ერთი ხელის მოსმით გიკლავს და „მაგდანას ლურჯას“ მსგავს ჟრიამულს გთავაზობს.

კარგი აღმოჩნდა რუსული „მაიორი“ (რეჟისორი იური ბიკოვი) - სისტემის წინააღმდეგ გაბრძოლების სურვილის თანამდევი გარდაუვალი მარცხის შემახსენებელი ფილმი, რასაც ვერ ვიტყვით უკრაინულ-თურქულ „შემიყვარეზე“ (რეჟისორები მარინა გორბაჩი და მეჰმეტ ბაჰადირ ერი), რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა სოციალურ დრამას დამსგავსებოდა, მაგრამ ძალიან უბრალო სასიყვარულო ისტორიამდე დავიდა. რაც შეეხება აზერბაიჯანულ „ქამელეონს“ (რეჟისორები რუფატ ჰასანოვი და ელვინ ადიგოზელი), ეს კონკურსის ყველაზე კარგი ფილმი აღმოჩნდა, რადგან საფესტივალო პროგრამით გადაღლილ მაყურებელს კარგად გამოძინების საშუალება მისცა... ვთხოვ საკონკურსო პროგრამის სელექციონერებს, რომ ასეთი ფილმი აღარასოდეს ჩამოიტანონ - არც აზერბაიჯანთან კეთილმეზობლობის, არც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და არც მეჰრიბან ალიევას ლამაზი თვალების ხათრით. მაყურებელი თუ არა, ჟიურის წევრები მაინც შეიცოდონ...

კინოფესტივალს რამდენიმე სხვა სექციაც ჰქონდა, მათ შორის დოკუმენტურიც (აქვე აღვნიშნავთ, რომ ფესტივალის ფარგლებში კვლავ მუშაობდა ინდუსტირული „პიჩდოკი“ და „კავკადოკი“, რომლებიც დოკუმენტური კინოპროექტების წარდგენასა და მათი განვითარების ვორქშოპებს ითვალისწინებდა, ასევე გაიმართა სემინარი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დოკუმენტური კინოს თემაზე). ქართული პანორამის ფარგლებში აჩვენეს თომა ბეგიაშვილისა და გიორგი ჩალაურის „პროექტი „ნათელი“, რომლის სიუჟეტი თანამედროვე მაყურებლისთვის ცოტა დაუჯერებელიც კი აღმოჩნდა: ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საქართველოში არსებობდა სოფლები, რომელთა მოსახლეობასაც 90-იანი წლების ენერგოკრიზისის შემდეგ ელექტროენერგია არ ჰქონია (ამაჟამად უცხოური დონორი ორგანიზაციების წყალობით ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად აღმოფხვრილია). 20 წლის განმავლობაში დენი არ მიეწოდებოდა ახმეტის, დმანისის, დუშეთის რაიონების სოფლების მაცხოვრებლებს. ერთი შეხედვით მხოლოდ ყოფითი პრობლემის მოუგვარებლობა კი სულ სხვა დრამას გვაჩვენებს - ფილმის პერსონაჟების უმეტესობა მოხუცები არიან, რადგან აქაურობა ახალგაზრდობამ დიდი ხნის წინ მიატოვა, ხოლო როდესაც ისმენ ფრაზებს: „კარგი იყო, მაცივარი რომ გვქონდა“, „საჭმელს მაინც გავიცხელებდი“, „ღამე რამე რომ დამემართოს“, „შვილიშვილების ხმა მენატრება“ - ხვდები, რომ, ბევრი ლაპარაკის მიუხედავად, ამ ქვეყანას არასდროს ჰყოლია პატრონი! სულ მცირე - ამ ადამიანებს ავად გახდომის უფლებაც კი არ ჰქონდათ, ექიმის გამოძახებას ვერ მოახერხებდნენ, ამიტომ ჩუმად, სხვის შეუწუხებლად კვდებოდნენ და მათთან ერთად კვდებოდა სოფელიც. ყველაზე ირონიული კი ისაა, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული ერთ-ერთი სოფლის სკოლისთვის (ფილმში ნაჩვენები სოფლებიდან ეს ერთადერთია, რომელიც ახალგაზრდებისგან არ დაცლილა) მთავრობას სასკოლო ლეპტოპი (ბუკი) უჩუქებია... ამიტომ ამ პატარა სკოლის ერთადერთი მასწავლებელი ყოველ დილით გენერატორს ქოქავს, რათა მოსწავლეები რამდენიმე წუთით მაინც დააკავშიროს თანამედროვე სამყაროს. და კიდევ ერთი: ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი ქალბატონი ყვება, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მხოლოდ ელემენტზე მომუშავე რადიოთი იგებს, იცის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილია („პროექტი „ნათელი“ შარშანდელი ნამუშევარია), მაგრამ არ იცის, როგორ გამოიყურება... როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მაგრებელია.

ამავე სექციის ფილმი იყო ლია ჯაყელის „დედა, მამა, მე გეი ვარ“, რომელმაც სატელევიზიო სიუჟეტის შთაბეჭდილება უფრო დატოვა, ვიდრე დოკუმენტური ფილმისა, თუმცა ფილმის პერსონაჟების ინტერვიუები საკმაოდ საინტერესო იყო. ალბათ, ჯობდა, ამ ფილმს მეტი მაყურებელი ჰყოლოდა, მათ შორის, გამოკვეთილი ჰომოფობებიც და ენახათ, რომ ეს სამი ახალგაზრდაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მათნაირად გამოიყურებიან, მათთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობენ და ზოგჯერ მათზე უფრო ჭკვიანურადაც.

თბილისის კინოფესტივალის ორგანიზატორებს აუცილებლად უნდა დავუფასოთ ერთი ახალი სექცია - „სიყვარული ადამიანის ძირითადი უფლებაა“. ამ სექციით წარმოდგენილი ფილმები ძირითადად არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების ურთიერთობას ეხებოდა. ამავე სექციის ფილმი იყო წლევანდელი კანის გამარჯვებული „ადელის ცხოვრებაც“, რომელზე დასასწრები ბილეთებიც ფესტივალის დაწყებისთანავე გაიყიდა, ჩვენების დღეს კი ლამის თირკმლის ფასი ჰქონდა. ადელისა და ემას საოცარი ურთიერთობის ჩვენებამ ტექნიკური პრობლემების ფონზე ჩაიარა - ფილმი რამდენჯერმე შეწყდა, ზოგი სცენა საერთოდ ვერ ვნახეთ, მიუხედავად ამისა, ალბათ ყველა მაყურებელს დარჩა განწყობა, რომ სიყვარული ადამიანის მართლაც ძირითადი უფლებაა, ყველაზე საჭირო, ჰაერივით აუცილებელი უპირველესი უფლება, რომელიც ხამანწკებივით გვაქვს შესრუტული და სპაგეტივით გემრიელია.

ამ ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ ვნახე პაოლო სორენტინოს „დიდებული სილამაზე“ - ფესტივალის ყველაზე დიდებული და ლამაზი ფილმი (მთელი ფესტივალის ჩატარება მარტო ამ ფილმისთვისაც ღირდა). თუ პირველი ნახვის შემდეგ ფელინის კინოსთან პარალელების გავლების სურვილი არსებობდა, მეორე ნახვამ ყველანაირი მსგავსება გააქრო და მხოლოდ სორენტინო დარჩა. ეს ფილმი ჩვენს მეკობრულ საიტებზეც დევს და გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ (თუმცა დიდი ეკრანის ეფექტს, ცხადია, ვერ მიიღებთ) და დარწმუნდეთ, რომ რომი, მართლაც მარადიული ქალაქია და რომ მხოლოდ აქ შეიძლება მოკვდეს სილამაზით გაბრუებული პროგრესული მსოფლიო. მაგრამ სწორედ აქაა აკუმულირებული ყველანაირი სიყალბეც: საკუთარი თავის დანდიდებით გაბრუებული ხელოვანები, ჰონორარის სანაცვლოდ სხვა გვარის დიდებულებად დაქირავებული გრაფები და მომაკვდავი რელიგიაც, რომელიც თვითგადარჩენისთვის ყველგან და ყველაფერში ღმერთის ნიშნის დანახვას ცდილობს.

ძალიან კარგი იყო ევროპული კინოს ფორუმის ფარგლებში წარმოდგენილი ხორვატულ-სერბული ტრაგიკომედია „მოძღვრის შვილები“ (რეჟისორი ვინკო ბრეშანი). ფილმს ჰქონდა კარგი სთორი, სანახაობრიობა, მსახიობების თამაში, მუსიკალური გაფორმება და იუმორი, რომელიც რეჟისორმა არაჩვეულებრივად გამოიყენა ყველაზე სევდიანი თემის მოსაყოლად: ხორვატიის პატარა კუნძულზე სიკვდილიანობა შობადობას აჭარბებს, რაშიც აღსარებაზე მისული კიოსკის გამყიდველი საკუთარ თავსაც ადანაშაულებს, რადგან მიაჩნია, რომ ამის მიზეზი მის მიერ დიდი რაოდენობით გაყიდული პრეზერვატივებია. ახალგაზრდა მღვდელი მას გამოსავალს სთავაზობს - ყველა პრეზერვატივს ქინძისთავით ხვრეტენ და კუნძულზე შობადობის მომატებას ელიან. მალე ბავშვები ჩნდებიან, კუნძულზე კი უშვილო წყვილები იწყებენ ჩამოსვლას, ამ საოცრების შესახებ ტელევიზიაც კი ამზადებს სიუჟეტს. საბოლოოდ მოძღვრისა და კიოსკის გამყიდველის საიდუმლო სკდება, რის გამოც კუნძულზე თვით კარდინალიც კი ჩამობრძანდება (როდესაც მისი მდიდრული იახტა ნაპირს მოადგენა, კუნძულელები მარჩიელობენ, მაფიოზი ჩამოვიდა თუ მილიარდერი, ხელთ კი ღვთის მსახური შერჩებათ...), რომელსაც მხოლოდ ერთი რამ ადარდებს - მთავარია, საქმე პედოფილიას (ვატიკანისთვის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო თემა) არ ეხებოდეს, სხვა ყველაფერი დასაშვებია, აქ კი იახტით მგზავრობა რაღა სახსენებელია...

სოფლის მეურნეობის პროექტები - მიღწევები და პრობლემები

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ეკონომიკის მუდმივი ტკივილია. დარგს, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტია დასაქმებული, მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) მხოლოდ 8-9 პროცენტი წილი შეაქვს, ხოლო სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ საწარმოთა წილი მთლიან მშპ-ში სულ 4 პროცენტს შეადგენს. სწორედ ამიტომ საქართველოს ყველა ხელისუფლება ცდილობდა და ცდილობს ამ დარგში პროექტების განხორციელებას, რომელთა ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაზე ჯერ-ჯერობით არ ასახულა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა სცადა, სოფლის მეურნეობის მიმდინარე პოლიტიკა და პროექტები გაეანალიზებინა. მართალია, ჯერ ამ პროექტების კონკრეტული შედეგები არ დამდგარა, თუმცა გარკვეული ინფორმაცია არსებობს და წინასწარი დასკვნების გაკეთებაც შესაძლებელია:

მელიორაცია

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია ახორციელებს. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სარეაბილიტაციო და მოდერნიზაციის სამუშაოების საბიუჯეტო დაფინანსება მიმდინარე წელს, დაახლოებით, ხუთჯერ გაიზარდა და 64,4 მლნ ლარი შეადგინა.

გაერთიანებულმა სამელიორაციო სისტემების კომპანიამ 2013 წელს სარემონტო სამუშაოები 195 ობიექტზე დაიწყო, მათგან 180 ობიექტზე უკვე დასრულებულია, რაც საშუალებას იძლევა, დამატებით 25 200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გასარწყავიანდეს. აღსანიშნავია, რომ შიდასამეურნეო ქსელი სახელმწიფოს სახსრებით პირველად გაიწმინდა და დღევანდელი მდგომარეობით 1000 კილომეტრამდე შიდასამეურნეო არხია გაწმენდილი. სარწყავი სეზონის დამთავრებისთანავე დაგეგმილია მათი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც ბოლო 20-25 წელია, არ ჩატარებულა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ექსპერტთა აზრით, საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია შეიძლება, დადებითად შეფასდეს, თუმცა შეუძლებელია, ქვეყანაში მელიორაციის პრობლემები ერთჯერადი პროგრამებით და ღონისძიებებით მოგვარდეს. აუცილებელია ინსტიტუციონალური განვითარება, ოპტიმალური სტრუქტურების ჩამოყალიბება. ამ პროცესში კერძო სტრუქტურების ჩართვაც კარგი იქნებოდა.

ტრეინინგები და კონსულტაციები

ფერმერთა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით მთელი საქართველოს მასშტაბით 12 საკონსულტაციო (ექსტენციის) და ფერმერთა მომსახურების ცენტრი გაიხსნა. გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ქარელის, კასპის, მარნეულის, ბოლნისის, ახალციხის, ზესტაფონის, სამტრედიის, აბაშის, ოზურგეთის და ამბროლაურის რაიონებში გახსნილი სერვისცენტრები ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა სახის მომსახურებებს სთავაზობს. ყველა ცენტრი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით არის აღჭურვილი. ცენტრების მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების მოსახლეობისთვის გაცნობა და დანერგვა, მიზნობრივ ჯგუფს სტუდენტები, ფერმერები და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანები წარმოადგენენ.

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობის 2013 წლის საგაზაფხულო პროგრამით განსაზღვრული «მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში ფერმერებს მთელი საქართველოს მასშტაბით დაურიგდათ ნომინალური და კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათები. ბენეფიციარებს შეეძლოთ, მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა მცირე ფერმერთათვის (5 ჰექტრამდე ნაკვეთის მფლობელი/მოსარგებლე) 0,25 ჰა-დან 1,2 ჰა-მდე მიწის მოხვნასა და ხნულის დადისკვას.

პროექტის ფარგლებში დახმარება მთლიანობაში 710 000-მდე მიწის მესაკუთრემ მიიღო. პროექტზე 195 მილიონი ლარი დაიხარჯა. საქართველოს მასშტაბით 200 ათას ჰექტრამდე ფართობი დამუშავდა (მათ შორის 110 ათასი ჰექტარი - მოიხნა).

პროგრამის დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი ფერმერებისთვის სხვადასხვა საქონლისა და ინვენტარის უსასყიდლოდ გადაცემაზე მოდის, რაც პროგრამის სოციალურ დატვირთვაზე ნათლად მიანიშნებს. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აზრით, განსაკუთრებით სადავოა სხვადასხვა აგრარული დანიშნულების ინვენტარის გადაცემა, რასაც, ვფიქრობთ, მხოლოდ სოციალური დატვირთვა აქვს და მისი ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა შეუძლებელია.

მთლიანობაში აღნიშნულ პროგრამას აშკარად გამოხატული სოციალური მიზნები გააჩნია, თუმცა შეგვიძლია, გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტებზეც ვისაუბროთ. წესით, რადგან დამუშავებული მიწების დიდი ნაწილი ნასვენი/ყამირი მიწების კატეგორიას განეკუთვნება, მოსალოდნელია აგრარული პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა მიმდინარე წლისთვის. მოკლევადიან ჭრილში შეიძლება ვივარაუდოთ მთლიან მშპ-ში აგრარული სექტორის ზრდა მიმდინარე წელს. თუმცა პროგრამის უშუალო შედეგზე საუბარი მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ შეიძლება. რთულია, ვიმსჯელოთ საშუალო და გრძელვადიან ეკონომიკურ ეფექტზე, რაც სხვა მრავალ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ზოგადად, ამგვარი ტიპის პროგრამები ეფექტიანად ვერ ხორციელდება და ვერც წარმოების განვითარების გრძელვადიან წინამძღვრებს ქმნის. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ბენეფიციარების მიერ უპირობოდ მიღებული მხარდაჭერაა, რაც კონკურენციას აუარესებს და შესაძლოა, წარმატებულ ფერმერებს სტიმული დაუკარგოს. გარდა ამისა, დახმარების ამგვარი ტიპი მომავალში კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელების ალბათობას ქმნის, რაც ადრე თუ გვიან ბიუჯეტშიც უნდა აისახოს, ამის რესურსი კი ქვეყანას არ გააჩნია. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს აზრით, მომავალში ამგვარი პროგრამების განხორციელება უნდა შეწყდეს და ბენეფიციარების საჭიროებები ზოგადსამთავრობო სოციალური პოლიტიკის ჭრილში უნდა დაკმაყოფილდეს.

შეღავათიანი აგროკრედიტი

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში თავდაპირველად სამი კომპონენტი განისაზღვრა. პირველი კომპონენტი გულისხმობს მცირე ფერმერებისთვის 6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტის (განვადების) გაცემას, რომლის ზედა ზღვარიც 5000 ლარი იქნება, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ფერმერისთვის - 0 პროცენტი. ბანკებსა და მაღაზიებს შორის მოლაპარაკებების საფუძველზე ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში გამოიტანოს მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტპრეპარატები, გარდა სასუქისა).

მეორე კომპონენტი - ეს არის საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის 2 წლამდე შეღავათიანი აგროკრედიტი, რომელიც 5000 ლარიდან 100 000 ლარამდე თანხას მოიცავს და რომლის საპროცენტო განაკვეთიც ფერმერისთვის არის არაუმეტეს 8 პროცენტისა. აღნიშნული ტიპის სესხები გათვლილია ფერმერებისთვის საბრუნავი საშუალებებისა და მარაგების შესყიდვის დაფინანსებაზე მოკლე ვადით, ხოლო კრედიტის ვადა მის მიზნობრიობაზეა დამოკიდებული.

მესამე კომპონენტი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის 7 წლამდე ვადით შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემას, რომლის ზედა ზღვარიც 1 მილიონი ლარი იქნება (ან ეკვივალენტი აშშ დოლარში) და საპროცენტო განაკვეთი მსესხებლისთვის - არაუმეტეს 3 პროცენტისა. ეს შეღავათიანი კრედიტი მოიცავს მოსავლის აღების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის (მაგ: შენახველი, სასაწყობე, დამაფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (მაგ: თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები, სარწყავი სისტემები) განვითარების ინიციატივების გრძელვადიანი ფულადი რესურსით მხარდაჭერას.

სექტემბრისთვის პროექტს მეოთხე და მეხუთე კომპონენტები დაემატა. მეოთხე კომპონენტი გულისხმობს მეწარმეებისთვის სხვადასხვა დანადგარ-მოწყობილობების ლიზინგის თანადაფინანსებას. 1 ოქტომბრის მდგომარეობით ამ კომპონენტის მიხედვით ოპერაციები არ ფიქსირდება. მეხუთე კომპონენტით მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიების დაფინანსება განისაზღვრა.

მეორე, მესამე და მეხუთე კომპონენტის ფარგლებში ბანკის მიერ დადგენილ საპროცენტო განაკვეთებსმ სესხის გრაფიკის შესაბამისად, მსესხებლის პარალელურად ფონდი გადაიხდის. შესაბამისად, მეწარმის მიერ გადასახდელი პროცენტი 3-დან 8 პროცენტამდე იქნება.

2013 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით პირველი კომპონენტის ფარგლებში 2,685 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 1,106,478 ლარის ოდენობის სასაქონლო განვადება. მე-2 კომპონენტში 3213 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 63,567,973 ლარის ოდენობის კრედიტი. მე-3 კომპონენტში 245 ბენეფიციარზე სულ გაიცა 31,737,671 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი, ხოლო მეხუთე კომპონენტში 23 ბენეფიციარზე სულ გაიცა 21,327,608 ლარის ოდენობის კრედიტი. მთლიანობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსებამ 117,5 მლნ ლარს მიაღწია.

ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მე-2 და მე-3 კომპონენტები (მეხუთე კომპონენტი არსობრივად იგივეა და მხოლოდ დარგობრივ დიფერენციაციას ითვალისწინებს). იურიდიული რეგისტრაციის მიხედვით მე-2 კომპონენტის ბენეფიციართა უმრავლესობა არამეწარმე ფიზიკური პირია - სულ 2907, ხოლო მეწარმე ფიზიკური პირები (ინდ. მეწარმეები) და იურიდიული პირები ჯამში 306-ს შეადგენენ. დაფინანსებული დარგებიდან ყველაზე მეტი სესხი მეცხოველეობაზეა გაცემული.

მე-3 კომპონენტის 245-ვე ბენეფიციარი წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს (ინდივიდუალურ მეწარმეს) ან იურიდიულ პირს, ხოლო სესხების უმეტესობა გაცემულია მეცხოველეობა, მეღვინეობასა და სასაწყობე მეურნეობებზე. მესამე კომპონენტში გაცემული სესხებიდან, დაახლოებით, 8 მლნ აშშ დოლარი «სთართ-აფ“ პროექტებზეა გაცემული.

სავარაუდოდ, მიმდინარე წელს აგროსექტორზე გაცემული სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით გასამმაგდება. ეს, ერთი მხრივ, შთამბეჭდავი ზრდაა, მაგრამ, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში კვლავ ძალზედ უმნიშვნელოა და მთელი საბანკო პორტფელის 3 პროცენტს არ აღემატება.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აზრით, დღეისთვის არც საბანკო სექტორი, არც ფერმერები მზად არ არიან ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენებისთვის აგრარულ სექტორში. გადამამუშავებელი საწარმოების შემთხვევაში აღნიშნული პროგრამა შეიძლება, საბანკო სექტორის სუბსიდირებად განვიხილოთ. ხელშესახებ შედეგებზე საუბარს მხოლოდ დაფინანსების სქემების დარგის მოთხოვნებთან ადაპტაციის შემთხვევაში = შევძლებთ (მაგ. ცალკეული პროექტების რისკების შეფასება დარგის სპეციალისტების მონაწილეობით, «Start-up“ პროექტების დაფინანსების პირობების განსაზღვრა და ა.შ).

როგორც ზემოთ მიმოვიხილეთ, მიმდინარე პროექტების შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ზოგადად, ამა თუ იმ პრობლემის მიმართ პროგრამული მიდგომა გამართლებულია, თუმცა კონკრეტული პროგრამის/პროექტის განხორციელებას ნათლად გამოხატული მიზნები და ამოცანები უნდა გააჩნდეს, სწორად უნდა განისაზღვროს მათი პრიორიტეტულობა და საერთო სტრატეგიიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამ მხრივ წარსული გამოცდილების გათვალისწინებაც უაღრესად სასარგებლო იქნებოდა.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027051

შემსყიდველი	ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	07.12.2013 18:53
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.12.2013 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	41755 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30213100-პორტაბელური კომპიუტერები (ლეპტოპები), 30213300-მაგიდის კომბიუტერები (დესკტოპები), 30216110-სკანერები კომპიუტერისთვის, 30231310-ბრტყელი მონიტორები, 30232110-ლაზერული პრინტერები . . .
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	300 ლარი
გარანტიის ოდენობა	418 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026941

შემსყიდველი	სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.12.2013 17:26
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	60534 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79700000-გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79713000-დაცვის მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	600 ლარი
გარანტიის ოდენობა	605 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026866

შემსყიდველი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.12.2013 12:08
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	73200 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	300 ლარი
გარანტიის ოდენობა	732 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026846

შემსყიდველი	დაცული ტერიტორიების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.12.2013 01:42
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	700 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79824000-ბეჭდვა და გავრცელება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	3 ლარი
გარანტიის ოდენობა	7 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

სერგეიუს იოვაიშას დღიურიდან

ზურა თალაკვაძე

მიხეილ გაბრიჩიძე და სერგეიუს იოვაიშა

თბილისში ჩამოვიდა ლეგენდარული კალათბურთელი სერგეიუს იოვაიშა, რომელიც სამი დღით (6-8 დეკემბერი) გაჩერდა ჩვენს ქალაქში.

გავიაროთ ლიტველის დღიური.

...სერგეიუს იოვაიშას სამდღიანი ვიზიტი. ძველი შარმი, ტრადიციები, საკალათბურთო და არასაკალათბურთო დონეზე შეძენილი გამოცდილება - ლიტველი ვეტერანი ქართულ კალათბურთს სიბრძნით და პოზიტივით ეხმარება.რუსთავის შეხვედრას ბევრი საინტერესო პერსონა დაესწრო - თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი **მიხეილ გაბრიჩიძე**, კომპანია «ჰიუნდაი აუტო ჯორჯიას» პრეზიდენტი **დავით გიორგობიანი**, თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის გამგეობის წევრი **ლევან წულაია**. ეს თბილისიდან რუსთავში ჩასული ჯგუფის შემადგენლობაა. «რუსთავის» ოფისში ნახევარსაათიანი საუბარი გაიმართა. ქვემო ქართლის რეგიონის კალათბურთის ფედერაციის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ **რამაზ გოგობერიშვილი**, **ირაკლი ჯაფარიძე** და **მიხეილ ბერუაშვილი,** ასევე ადგილობრივი საკალათბურთო წრეების სხვა წარმომადგენლები.

მიხეილ გაბრიჩიძემ თავისი სამოქმედო გეგმა გაშალა და რამდენიმე ძირითად პუნქტზე გააკეთა აქცენტი. დისკუსიაში ჩაერთო სერგეიუს იოვაიშა, რომელმაც რუსთაველებს ლიტვის კალათბურთის ფედერაციის მუშაობის ასპექტები გააცნო. ლიტვა კალათბურთია და რუსთავში კალათბურთი უყვართ. დიალოგის დასრულების შემდეგ კალათბურთის მეგობრები გადავიდნენ დარბაზში, სადაც 14-წლამდელთა ვარჯიში დაიწყო. იოვაიშამ ბავშვებს ლიტვის ნაკრების კეპები გადასცა და ჯგუფს «მოლტენის» ბურთები აჩუქა.

სერგეიუს იოვაიშა: «ამ ბავშვებს იმაზე გაცილებით უკეთეს პირობებში უწევთ ვარჯიში, ვიდრე ჩემი თაობის წარმომადგენლებს. თუ გინდა, რომ გახდე საუკეთესო, ჩათვალე, რომ გახდები. ბევრი წლის შემდეგ შენით მთელი ქვეყანა იამაყებს და გაიხსენებ იმ ხალხს, ვინც შენი კარიერის დასაწყისში გვერდში გედგა და რჩევებს გაძლევდა. ხანდახან ძველ თაობას, ვეტერანებსაც უნდა მოვუსმინოთ. ის, რაც ჩვენ უნდა გავიაროთ, მათთვის ნაცნობი და ძველი ეტაპია. წარსულს პატივი ვცეთ და მომავალში მეტს დავიმსახურებთ. რუსთავის საკალათბურთო სკოლას ბევრი ვარსკვლავის გაზრდას ვუსურვებ.»

* * *

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანის მოადგილე **თამაზ თევზაძე** სპორტის კოლექციონერია. მის კაბინეტში, ერთ-ერთ თაროზე, რამდენიმე სახეობის ავტოგრაფიანი სასუვენირო ბურთია. არ არის მხოლოდ კალათბურთის. **სერგეიუს იოვაიშასთან** შეხვედრის შემდეგ მინისტრის მოადგილის კოლექცია გაიზრდება. ლეგენდარული ლიტველისგან თევზაძე ავტოგრაფიან ბურთს მიიღებს. თამაზ თევზაძესთან შეხვედრას ესწრებოდნენ «ჰიუნდაი აუტო ჯორჯიას» პრეზიდენტი **დავით გიორგობიანი** და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის გამგეობის წევრი **ლევან წულაია**.

თამაზ თევზაძეს გამოცდილების თეორიულად გადმოცემის ძალიან კარგი უნარი აქვს. უამრავი პრობლემური საკითხიდან რამდენიმეს განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო. კერძოდ, ხაზი გაესვა საქართველოში სპორტული ობიექტების სიმცირეს. თევზაძემ მოიყვანა უნგრეთის მაგალითი. ქვეყანა, რომელიც ტერიტორიულად საქართველოზე დაახლოებით 24 000 კვ. კილომეტრით მეტს ფლობს, ბევრად გვისწრებს სპორტული ობიექტების რაოდენობით. უნგრეთში დაახლოებით 3 000 სპორტული ობიექტია. თევზაძის თქმით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო მუშაობა ობიექტების რაოდენობის გეგმიურ გაზრდაზე, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება 2015 წლის სეზონზე, როდესაც საქართველოში, ფეხბურთში ევროპის სუპერთასი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ჩატარდება. უშუალოდ საკალათბურთო ნიუანსებზე საუბრისას მინისტრის მოადგილე შეეხო ჩვენი ეროვნული ნაკრების პროგრესს, რაც ზედიზედ ორჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას უკავშირდება.

სერგეიუს იოვაიშა: «მინისტრის მოადგილესთან საინტერესო საუბარი გვქონდა. საქართველოს შეუძლია ძალიან სწრაფად მიიღოს პროგრესი და არ ჩამორჩეს ტემპს. მთავარია, მინისტრი და მისი გუნდი სწორ დასკვნებს აკეთებენ და ცდილობენ ბიუჯეტში არსებული თანხა რაციონალურად გადაანაწილონ (მნიშვნელობის მიხედვით) ყველა სახეობაზე. საქართველოში გაიზრდება სპორტული ობიექტების რიცხვი, ბავშვების დიდი ნაწილი უფრო მონდომებით ჩაერთვება სპორტში. იმედი მაქვს, ორი წლის შემდეგ საქართველო მზად იქნება. თქვენ ხომ 2015-ში ორი დიდი სპორტული ღონისძიების მასპინძლები იქნებით.»

* * *

სერგეიუს იოვაიშა ლეგენდაა. საკალათბურთო აკადემიაში ნიჭიერი ბავშვები ჩადიან. სავარჯიშოდ, სათამაშოდ, კალათბურთთან მეგობრობისთვის. ბავშვებისთვის ლეგენდასთან გასაუბრება უნიკალური შანსია. ბავშვებმა ლიტველისგან ოცწუთიანი საკალათბურთო გაკვეთილი მიიღეს.

იოვაიშა დარბაზში ჩადის. ცოტა ხანში დაიწყება თბილისის 14-წლამდელთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის თამაში, რომლის ერთ-ერთი მონაწილეა «ჰიუნდაის» კლუბი, რომელიც «დინამოს» ხვდება. მანამდე სერგეიუს იოვაიშა დაესწრო «ბასტიონისა» და «ოლიმპის» თამაშს, რომელიც «ოლიმპმა» მოიგო. სტუმრისთვის ეს არ იყო მთავარი. იოვაიშას მოეწონა «ოლიმპის» ოცდამესამე ნომერი - ძალიან კარგი ბავშვი.

თამაშის დაწყებამდე იწყება მასტერკლასი. სერგეიუსმა პატარებს ლიტვის ნაკრების კეპები დაურიგა. ძალიან კარგი ჟესტი ლიტველისგან, რომელიც ბავშვებს ესაუბრება და პატარები ბევრ საინტერესოს იგებენ. პატარები იგებენ ისტორიებს ლეგენდებზე და იღებენ რჩევებს ლეგენდისგან.

მასტერკლასის ფორმატი შეიცვალა. მასტერკლასი თეორიით დასრულდა და ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაიგეს, რომ მათი უფროსი მეგობარი თავის დროზე ლარი ბერდის და მაიკლ ჯორდანის წინააღმდეგ თამაშობდა. იყო იმ გუნდის კაპიტანი, რომელშიც არვიდას საბონისი სოლირებდა.

სერგეიუს იოვაიშა: «ძალიან მონდომებული, სწრაფი ბავშვები არიან. რაც მთავარია, ყველას უყვარს კალათბურთი და ყველა მაქსიმუმის გაკეთებას ცდილობს. ამ ასაკში ბევრის გაკეთებას ასწრებ. ეს თაობა რეალურად ბევრს მოასწრებს.»

* * *

სერგეიუს იოვაიშას ვიზიტის დასკვნითი დღე სასტუმრო «შერატონ მეტეხი პალასში» ორმხრივი მემორანდუმის გაფორმებით დასრულდა. საკალათბურთო სკოლა «ჰიუნდაი» და ლეგენდარული ლიტველი ვეტერანი ბევრ საინტერესო დეტალზე ჩამოყალიბდნენ და ეს შეთანხმება ოფიციალურად გააფორმეს.

გაფორმებული მემორანდუმი მოიცავს პირობებისა და ვალდებულებების ნუსხას, რომლებიც კალათბურთის განვითარებისკენ არის მიმართული. მოლაპარაკებაში შედის ისეთი პუნქტები, როგორებიცაა, ქართველი მწვრთნელებისა და აღსაზრდელების მომზადება ლიტვაში ან ლიტველი სპეციალისტების ვიზიტი საქართველოში ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად.

დავით გიორგობიანი («ჰიუნდაი აუტო ჯორჯიას» პრეზიდენტი): «ჩვენი სკოლისთვის ეს მნიშვნელოვანი ამბავია. სერგეიუს იოვაიშას ერუდიცია, მისი ინტელექტი და გამოცდილება ბავშვებისთვის უდიდესი სტიმულია. დარწმუნებული ვარ, ეს მემორანდუმი მეტ მოტივაციას მისცემს ჩვენი სკოლის მწვრთნელებსაც. «ჰიუნდაის» და ლიტვური კალათბურთის განვითარების მოდელი არა მარტო ჩვენი სკოლისთვის, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. სერგეიუს იოვაიშასთან გვექნება ხშირი კონსულტაციები. მისი რჩევები მხოლოდ და მხოლოდ გააუმჯობესებს «ჰიუნდაის» სკოლის საბოლოო პროდუქტს.»

სერგეიუს იოვაიშა: «ვიცი, რომ «ჰიუნდაის» სკოლას შარშან საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში სერიოზული წარმატება ჰქონდა. ხუთიდან სამი ასაკობრივი ტურნირის მოგება დიდი წარმატება და მწვრთნელების სწორი მუშაობის შედეგია. მაქსიმალურ ყურადღებას დავუთმობ ამ სკოლას და ვეცდები, ჩემი კონტაქტები და გამოცდილება მათ სასიკეთოდ გამოვიყენო.»

* * *

ლიტველი ლეგენდა სამდღიან ვიზიტს ამთავრებს. რამდენიმე მასტერკლასი, გასვლითი ტური რუსთავში, ბევრი დასამახსოვრებელი ეპიზოდი, შეხვედრები ძველ მეგობრებთან... ლეგენდა არ იღლება. სერგეიუს იოვაიშამ საქართველოს დიდი სითბო, ყურადღება აჩუქა. იოვაიშამ სიყვარული ჩამოიტანა და ლიტველმა დაისვენა. იოვაიშა არ იბნეოდა მსოფლიოს საუკეთესო კლუბების, მოთამაშეების წინააღმდეგ და ცოტა დაიბნა, როდესაც თბილისის სპორტის სასახლეში შევიდა. იქ, სადაც მისი კარიერა მიდიოდა.

ბოლო დღეს იოვაიშა, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი **მიხეილ გაბრიჩიძე**, «ჰიუნდაი აუტო ჯორჯიას» პრეზიდენტი **დავით გიორგობიანი** და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის გამგეობის წევრი **ლევან წულაია** საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირების მემორიალს ესტუმრნენ და პატივი მიაგეს. იოვაიშასთვის ეს სასიამოვნო ეპიზოდი იყო.

უბრალოდ, კიდევ ერთი კარგი ეპიზოდი. სერგეიუს იოვაიშა ძალიან უშუალო, უბრალო, დადებითი პერსონაა. იოვაიშა მიდის და უკვე გვენატრება. მეტი პოზიტივი ლიტველისგან მეტ დროს მოითხოვს. ბოლო ვიზიტი ძალიან კარგი, თბილი ნაბიჯი იყო.

სერგეიუს იოვაიშა წავიდა.

დიდი მადლობა ვეტერანს.

ფალავნები „არენაში„ ევროპისთვის იბრძვიან

უქმეები თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატით დაიწყო და გუშინ ბერძენ-რომაელთა პირველობით გაგრძელდა. ჭიდაობის სამყარომ საასპარეზო სპორტკომპლექსი „არენა“ შეარჩია, სადაც საქართველოს ყველა საჭიდაო სკოლის საუკეთესო ფალავნებმა მოიყარეს თავი. სხვაგვარად ვერც იქნებოდა - საქართველოს ჩემპიონატი ევროპის ჩემპიონატის წინ ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა. გარდა ამისა, სპორტსმენების ხელფასი და მისი ოდენობა პირველობის შედეგებზეა დამოკიდებული. ასე რომ, ყველა იქ იყო - ნაკრების წევრები და კანდიდატები.

ყოველ შემთხვევაში, გათავისუფლების თხოვნით ნაკრების ხელმძღვანელობისთვის არავის მიუმართავს. არც სერიოზული ტრავმა აწუხებს ვინმეს. საქართველოს ჩემპიონატი დღეს დასრულდება.

საქართველოს ჩემპიონატი
თავისუფალი ჭიდაობა

55 კგ.
1 გიორგი ედიშერაშვილი (აჭარა)
2 ბექა ბუჯიაშვილი (გორი)
3 ლაშა ტალახაძე (ხაშური)
3 ოთარ გოგავა (ხონი)

60 კგ.
1 ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი)
2 ბექა ლომთაძე (ქუთაისი)
3 აკაკი მოწონელიძე (ხაშური)
3 მურთაზ კვესაძე (ქუთაისი)

66 კგ.
1 კონსტანტინე ხაბალაშვილი (გორი)
2 ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური)
3 ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი)
3 მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი)

74 კგ.
1 იაკობ მაქარაშვილი (თბილისი)
2 გიორგი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა)
3 ჯუმბერ ყველაშვილი (გორი)
3 ალექსანდრე ჯაჭვაძე (გარდაბანი)

84 კგ.
1 დავით მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა)
2 ლევან გოგრიჭიანი (თბილისი)
3 გოჩა ლომთათიძე (თბილისი)
3 ნოდარ ეგაძე (გორი)

96 კგ.
1 დავით ქერაშვილი (თბილისი)
2 ბექა ჭელიძე (აჭარა)
3 ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი)
3 ზვიად მეტრეველი (ონი)

120 კგ.
1 დავით მოძმანაშვილი (გურჯაანი)
2 გენო პეტრიაშვილი (გორი)
3 ტარიელ ლაბაძე (რუსთავი)
3 გიორგი მეშვილდიშვილი (ონი)

ბერძნულ-რომაული

55 კგ.
1 გოდერძი დავითაძე (აჭარა)
2 ნიკა ცეცხლაძე (აჭარა)
3 აბესალომ ქათამაძე (ზესტაფონი)
3 გიზო მელაძე (აჭარა)

66 კგ.
1 რევაზ ლაშხი (ბორჯომი)
2 საჩინო დავითაია (სენაკი)
3 მარად აბულაძე (აჭარა)
3 ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი)

84 კგ.
1 რობერტ ქობლიაშვილი (გარდაბანი)
2 ვლადიმერ გეგეშიძე (აჭარა)
3 ვახტანგ ხალვაში (აჭარა)
3 გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი)

120 კგ.
1 იაკობ ქაჯაია (წყალტუბო)
2 გურამ ფერსელიძე (აჭარა)
3 ლევან არაბული (თბილისი)
3 ბექა კანდელაკი (თბილისი)

„ოქროს ბურთს„ რონალდუ, რიბერი და მესი გაითამაშებენ

ვირველი გვერდიდან

მადრიდის „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელის შემდეგ „ოქროს ბურთის“ დასაკუთრების ყველაზე მეტი შანსი აქვს გასულ სეზონში ყველაფრის მომგებ (გერმანიის თასი, ქვეყნის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა) „ბაიერნის“ ფრანგ ლეგიონერს რიბერის, რომელიც პირველად მოხვდა საუკეთესო სამეულში. ფრანგი ნახევარმცველი „ბაიერნის“ პირველია ფეხბურთელია, რომელსაც 2002 წლის შემდეგ „ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლის შანსი მიეცა. სტატისტიკას თუ უფრო ჩავუღრმავდებით, 2010 წლიდან ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთისა“ და „ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის“ შერწყმიდან პირველი შემთხვევაა, როდესაც რჩეულ სამეულში „ბარსელონასა“ და „რეალის“ ბატონობის შემდეგ სხვა გუნდის წარმომადგენელსაც ერგო ადგილი.

რჩეული სამეულიდან „ოქროს ბურთის მოგების ყველაზე ნაკლები შანსი აქვს „ბარსელონასა“ და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელს ლიონელ მესის. არადა, ინდივიდუალური ჯილდოებით განებივრებული ყველაზე მეტად სწორედ არგენტინელია. სხვა რომ არაფერი, ზედიზედ ოთხჯერ მოიგო „ოქროს ბურთი“ (2009 წელს „ფრანს ფუტბოლმა“ დაასახელა წლის ფეხბურთელად, 2010, 2011 და 2012 წლებში უკვე „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთისა“ და „ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის“ შერწყმის შედეგად ხვდა ასეთი პატივი). უფრო სწორად, ბოლო ოთხი წელინადია საუკეთესოდ მას ასახელებენ. გარდა ამისა, არგენტინელი ზედიზედ მეექვსედ მოხვდა საუკეთესო სამეულში.

გამოკითხვის შედეგად „ოქროს ბურთის“ გამარჯვებულს ეროვნული ნაკრებების მწვრთნელები, კაპიტნები და ჟურნალისტები ავლენენ.

ჯილდოს გადაცემის ცერემონიალს 2014 წლის 13 იანვარს ციურიხი უმასპინძლებს.

ციურიხშივე გამოვლინდება 2013 წლის საუკეთესო მწვრთნელიც. კანდიდატი აქაც სამია - სერ ალექს ფერგიუსონი, იუპ ჰაინკესი და იურგენ კლოპი.

„მანიუს“ შოტლანდიელი მაესტრო პრემიერლიგის ტიტულით დაემშვიდობა სამწვრთნელო სავარძელს.

იუპ ჰაინკესმა „ბაიერნს“ სამივე შესაძლო ტიტული - გერმანიის თასი, ჩემპიონატი და ლიგა მოაგებინა და, ფერგიუსონის დარად, პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა.

მხოლოდ იურგენ კლოპია მოქმედი მწვრთნელი. გასულ სეზონში გერმანელმა „დორტმუნდი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, ხოლო ივლისში გუნდს გერმანიის სუპერთასი მოაგებინა.